



ქველი
კვალი

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარბის ქუჩაზე, № 27.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა.— ეკონომიური წერილები, ფ. გ.-სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კარეს-ზონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—მკედელი, ლექსი ღ. თომაშვილისა.—ციგნები, მოთხ. ი. ფრანკოსი.—მცირე შენიშვნა, მოსაუბრისა.—კაზაკევიჩი და მისი ამხანაგები, ნ. კლავასი.—ადამიანის უჩინარი მტერები, ი. გ.—ჯისა.—განცხადებანი.—

სელის-მომწერთა საუბრადღებოთ ვაცხადებთ, რომ ვინაჲც სვედრი ფული არა აქვს შემოტანილი მომავალ კვირიდან «კვალი» აღარ გაეკვსაზნება

მყარდება რაღაცნაირი ორგანიზული, შეუწყვეტელი, კავშირი მკითხველი ღღემულამ ელის თავის საყვარელ გაზეთში ახალ ამბებს ვარდა საერთო საჭირობოროტო კითხვების ახსნა-განმარტებას, პასუხს ათასგვარ საზოგადოებრივ ჭირვარამზე, სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო აზრს პრაქტიკული მოღვაწეობისათვის და სხვ. მკითხველების ასეთი თანაგრძნობა თავის მხრით აცხოველებს და ამხნეებს გაზეთს; ამნაირათ გაზეთი ხდება ისეთ ორგანოთ, რომლის საშუალებით საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილში ვრცელდება ესა თუ ის აზრი, შეხედულება. რა თქმა უნდა, ისეთ მკითხველთა რიცხვი, რომლებიც ასე შეგნებით უყურებენ გაზეთს, შედარებით მცირეა, მაგრამ თუ გაზეთი ცხოვრებას არ ჩამორჩენია და სიცოცხლის ნიშან-წყალი კიდევ შერჩენია, ასეთი მკითხველები მას მაინც ეყოლება. და თუ ასეთი მკითხველი ყავს გაზეთს, არ შეიძლება, რომ მისი ბედ-იღბალი ამ მკითხველისთვის უცხო რამ იყოს. ყოველივე ეს გვათქმევინა ჩვენ „ივერიის“ 25 წლის არსებობის შესრულებამ და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამის შესახებ თავის დროზე კრინტიც არავინ დაძრა. მხოლოთ, როგორც ზევითაც ვამბობდით, რამდენიმე თვის შემდეგ აღნიშნეს ეს ამბავი და სხვათა შორის პატივცემული პ. უმიკაშვილი ასეთ გულსაკლავ კითხვას იძლევა: „რათ მოხდა, რომ ქართულ ენა, ზე ერთათ-ერთი გამოცემა, რომელმაც 25 წელიწადი გაძლო, ასე დავიწყებული შეიქნა?“ (იხ. ამ წლის „ივერია“, № 125).
ამ სიტყვების წაკითხვის დროს მე მომაგონდა იმავე ავტორის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ივ. კერესელიძის დასაფლავების დროს. საქმე იმაშია, რომ ხსენებული პირის დასაფლავების დროს ისეთი არავინ გამოჩნდა, რომელსაც მის შესახებ ორიოდ სიტყვა ეთქვა. ბ-ნმა უმიკაშვილმა, როგორც თითონ ამბობს, ეს ველარ მოითმინა, წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე იწყება: „ჩვენში შესაძლებელი ყოფილა ჩვიდმეტი წელიწადი კაცმა შრომა დასდოს საქვეყნო საქმისათვის, და არავინ ხმა არ ამოიღოს; ჩვენა გვყავს საზოგადოებანი, რომელთაც უნდა ახსოვდეთ, რომ მათი შრომა იწყება იმ დროდან, როდესაც ივ. კერესელიძე გამოვიდა მტკიცების ასპარეზზე. რა დავიწყებია!“ (იხ. „ივერია“, 1893 წ., № 4).

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.
-VI

საღმრთოაღმწიანო ზუბლიცისტი.
წელს, 3 მარტს, 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც „ივერია“ გამოდის, როგორც დროგამომშვებითი გამოცემა. 25 წელიწადი ჟურნალ-გაზეთობის ცხოვრებაში, მეტადრე ჩვენში, პატარა მანძილი არ არის, და ეს იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენში გაზ. „კავკასს“ გარდა, რომელიც მთავრობის ორგანოთ ითვლება, ამოდენი ხანი არც ერთ დროგამომშვებით გამოცემას არ უცოცხლია. ამ მხრით მეტათ საინტერესოა უნდა იყოს გაზ. „ივერიის“ ვითარება. მოსალოდნელი იყო, რომ 25 წლის არსებობის შესრულების გამო ამის შესახებ ვინმე ხმას ამოიღებდა და საზოგადოებას გააცნობდა ხსენებულ გაზეთის 25 წლის ნამოქმედარს და მის თავგადასავალს ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ ეს არ მოხდა, და მხოლოთ რამდენიმე თვის შემდეგ ემცნო საზოგადოებას „ივერიის“ 25 წლის არსებობის ამბავი, ჯერ „ცნობის ფურცლის“ და შემდეგ თვით „ივერიის“ ფურცლებზე. უნდა გამოეტყდეთ, რომ მარტო ეს წაყრუება მეტათ ჩამაფიქრებელი და საგულისხმეიერა უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვისაც კი ჩვენ მწერლობაზე და ჟურნალ-გაზეთობაზე გული შეტკივა. ყოველივე დროგამომშვებითი გამოცემა ცოცხლობს და სულდგმულობს იმით, რომ მას განსაზღვრული ხელის მომწერლები და მკითხველები ყავს. რასაკვირველია, მკითხველთა და ხელის მომწერთა რიცხვი ერთს მეტი ყავს და მეორეს ნაკლები, მაგრამ ამას არა აქვს ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა. უმთავრესი აქ ის არის, რომ ყველა გაზეთს თუ ჟურნალს ყავს თავისი მუდმივი მკითხველები, რომლებსთვისაც იგი ერთ არსებით მოთხოვნილებათ ხდება, რომლებსაც იგი უსისხლობრცდება, ასე რომ გაზეთსა და მის მკითხველებს შორის

ჩვენი აზრით ამ ორ შემთხვევათა შორის დიდი მსგავსებაა. ივ. კერესელიძე იყო „ცისკრის“ რედაქტორათ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში (1867—1874 წწ.) და ისიც ისეთ დროს, როცა ჩვენში ჟურნალ-გაზეთობა რა ხილი იყო, არც კი იცოდნენ. ძნელი წარმოსადგენია დღეს ჩვენთვის, თუ რა გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით აწარმოებდა ი. კერესელიძე ჟურნალის საქმეს და თუმც იგი შესამჩნევი ნიჭის პატრონი არ ყოფილა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მან დიდი სარგებლობა მოუტანა, როგორც ქართველ საზოგადოებას, ისე ქართულ მწერლობასაც. და ბოლოს წილათ ისა ხედა, რომ იგი თითქმის სრულიად დავიწყებული შეიქნა სიცოცხლეშიაც. ამის მიზეზი ჩვენ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ „ცისკრის“ მოსპობით დასრულდა კერესელიძის საზოგადო მოღვაწეობაც, ასე რომ მთელი 18 წლის განმავლობაში იგი საზოგადოებისათვის აღარ ცოცხლობდა. მაგრამ ეს არ ითქმის „ივერიის“ შესახებ, რადგანაც იგი დღესაც გამოდის. და მართლაც, როგორ მოხდა, რომ გაზეთმა 25 წელიწადი იცოცხლოს, და ასე დავიწყებული იქნას საზოგადოების მიერ? როგორ მოხდა, რომ გაზეთი გამოდიოდეს თითქმის ყოველ დღე ¹⁾ ამოდენი ხნის განმავლობაში, იგი ესაუბრებოდეს მკითხველს მის გასაჭირზე და დალხინებამზე, მის ჭირსა და ვარაშზე მთელი 25 წლის განმავლობაში, და ბოლოს მაინც დავიწყებულ იქნას მის მიერ? თუ საზოგადოება დღესასწაულობს ცალკე აღამიანის 25 წლის მოღვაწეობას სამწერლო თუ სხვა ასპარეზზე, რათ იმავე საზოგადოებამ, ან მისმა რომელიმე ნაწილმა არ უნდა იდღესასწაულოს, ე. ი. არ აღნიშნოს რითიმე გაზეთის 25 წლის ნამოქმედარი, რომელსაც საზოგადო ასპარეზზე ბევრათ უფრო ფართო ნიადაგი აქვს მოქმედებისათვის? მაშ რათ მოხდა ეს დავიწყება? ნუ თუ აქაც ერთათ-ერთ მიზეზათ საზოგადოების გულცივობა უნდა მივიღოთ? ბ. პ. უმიკაშვილს ერთობ ადვილათ მიაჩნია ამ საგანზე პასუხის მიცემა. „მიზეზი ის გახლავს—ამბობს ჩვენი ავტორი, — რომ ჩვენ ქვეყანაში ნამდვილი მწერლები არ მოგვეპოვებინან; ნამდვილი მწერალი, პუბლიცისტი ისეთ კაცათ ითვლება, ვისაც მწერლობა ხელობათ გაუხდია... განა გვყავს ასეთი მწერლები? მწერლობის ასპარეზი ჩვენში გზის სადგურს გავს. როგორც სადგურზე მგზავრი თითო წამითა დგება შესასვენებლათ, ისე რედაქციებში შემოსულები დროებით კალამს იღებენ, დროებით წერენ, მაგრამ მალე ანებებენ თავსო“.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, პატივცემული ავტორი „ივერიის“ დავიწყებას იმ საერთო პირობებით ხსნის, რომლებშიც იმყოფება დღევანდელი ჩვენი მწერლობა და კერძოთ პუბლიცისტიკა. შეიძლება ეს რამდენიმეთ მართალი იყოს, მაგრამ ხსენებული გარემოების მართა ამით ახსნა ყოველად შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა თვით „ივერიის“ დახასიათება; ვინ იცის, შეიძლება აქ მოვიპოვოთ იმის ახსნა, თუ რათ „იქნა დავიწყებული“ როგორც საზოგადოების, ისე თვით მწერლობის მიერ, ხსენებული დროგამოშვებითი გამოცემა. და მართლაც, თუ დროგამოშვებითმა ორგანომ 25 წლის განმავლობაში ვერ შექმნა ისეთი მწერლები და ვერ მოინადირა ისეთ მკითხველთა გული და გონება, რომლებსთვის მისი მოგონება მეტ ბარგს არ შეადგენდეს, ამის ბრალი უმთავრესათ თვით ორგანოს, ე. ი. მის ხელმძღვანელს ედება. თუ ეს ასე მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანო ჩამორჩენია ცხოვრებას, რომ იგი არ იძლევა პასუხს ცხოვრების საჭირო-ბოროტო კითხვებზე, ან თუ იძლევა ისე, რომ ეს არ ხედება მკითხველის გულს, — ერთი სიტყვით ეს ორგანო არ ცდილა, რომ იგი ვა-


მდარიყო ცხოვრების სარკეთ და გზის მაჩვენებელ იარაღათ. ეს წარმოდგა იქიდან, რომ „ივერია“ დაარსდა იმ დროს, როცა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის-ის იყო ჩნდებოდა დიფერენციაცია, კლასიური დაყოფა, მაგრამ ჯერ კიდევ ეს თვალსაჩინო არ იყო. „ივერიამ“ ვერც ერთ ახალ დაბადებულ ჯგუფს ვერ აართვა აღლო: იგი ერთ და იმავე დროს ყველას მომხრეც იყო და ყველას მოწინააღმდეგეც; ასეთი ხასიათი დაყვა მას თავიდან და იმას ბოლომდის შერჩა. ეს არის ყოველად გამოუსადეგარი მიმართულება, თუ ასეთ განუსაზღვრელობას და უპრინციპობას მიმართულება შეიძლება დავარქვათ. თუ ასეთი პროგრამით ხელმძღვანელობის გამართლება რამდენიმეთ კიდევ შეიძლებოდა პირველ ხანებში, შემდეგში ეს ყოველად გამოუსადეგარი და უვარგისი გამოდგა. „ივერია“ დევნიდა და დევნის ყოველგვარ აზრს და მიმართულებას, როგორც თავის თანამშრომლებში, ისე მკითხველებში და ამნაირათ მან მოკლა და დაასახიჩრა ქართველი მკითხველის გონება და აზრი. ბ. ნ. პ. უმიკაშვილმა მეტათ საინტერესო კითხვა წამოაყენა, მაგრამ „ივერიის“ ვეჭილათ რომ არ დამდგარიყ, კიდევ უკეთეს იხამდა. „ივერიას“ აყვედრიაანო—გვეუბნება პატივცემული ავტორი, — შენ წარსულისაკენ გაქვს პირი, ძველს ეტრფი, მისი დაბრუნება გინდაო“. — ეს საყვედური—განაგრძობს იგი—უსამართლო და უსაფუძვლო ძველი ამბავიაო... სრულიათ სიმართლეს უნდა მოკლებული იყოს კაცი, რომ „ივერიას“ დაწამოს ძველის თაყვანისმცემლობა და ყველაფრის ძველის მოწონებაო“. შემდეგ ამისა იგი კითხულობს: „განა „ივერიას“ უქადაგნია როდისმე ბატონ-ყმობის, ფეოდალობის აღდგენა? რომელი ძველებური დროს გადასული წესწყობილების მომხრეობა გაუწყვიტა? აბა ჩამოთვალეთო“. და რადგანაც ამ შრომას თითონ არ ეწევა, ამიტომ თამამათ დაასკვნის: „ივერიის“ შრომა არ იყო ბრმა თაყვანისმცემელი წარსულისა; იგი ემსახურებოდა შეგნებულათ უპირველეს საჭიროებათა ახსნასო. სამწუხაროთ ამის დასამტკიცებლათ პატივცემული ბ. უმიკაშვილი არ იხსენიებს არც ერთ ფაქტს, არც წარსულიდან, და არც აწმყოდან. ჩვენ არ გამოვუდგებით „ივერიის“ წარსულ ისტორიას, მით უმეტეს, რომ ამ საგანზე ვრცელი წერილი იყო დაბეჭდილი „კვალში“ ²⁾; ხოლო აწმყოდან მივუთითებთ ბ. ნინია გარეჯელზე, რომელიც განახლებული გაზეთის ახალ-მოვლენილ პუბლიცისტათ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ წავიკითხეთ ამ ახალმოვლენილი პუბლიცისტის რამდენიმე წერილი, და დღემდის გაცემული ვართ: ვერ გავგიგია, რისთვის ან ვისთვის წერს ბ. ნინია გარეჯელი? საინტერესო ის არის, რომ ასეთი კითხვა მას თითონ დაუყენებია თავისი თავისთვის: „ყოველი ევროპიულათ განვითარებული ქართველი, რა კი ხელში კალამს აიღებს, მაშინათვე უნებლიეთ თავის თავს კითხავს: რისთვის ან ვისთვის ვწერო?“, და ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: „სწორე მოგახსენოთ, ქართველი მწერლის (ევროპიულათ განვითარებულის) ღვაწლი და შრომა თითქმის ფუჭე და უნუგეშოა: ვისაც მისი აზრი ეყურება, ის არა კითხულობს, და ვინც კითხულობს, იმას არა ეყურება-რა“. მაშ რა ქნას „ბედშავმა ქართველმა მწერალმაო“, გულნატკენათ კითხულობს ბ. ნინია გარეჯელი. „უნაყოფოთ სამშობლო მწერლობაში შრომას, ჯობს, კაცმა გარეშე მწერლობაში მაინც მიიღოს მონაწილეობაო“ ³⁾, — გვიპასუხებს ჩვენი ავტორი. და აი როგორც ხედავთ, „ივერიის“ ახალმოვლენილი პუბლიცისტი სრულებით უარყოფს ქართული მწერლობის მნიშვნელობას: ქართველი მწერლის ღვაწლი და შრო-

¹⁾ „ივერია“, როგორც ყოველ დღიური გამოცემა, გამოდის, მხოლოდ 1885 წლიდან: პირველათ იგი ყოველკვირეული იყო, შემდეგ 1885 წლამდის ყოველთვიური.

²⁾ „კვალი“, 1900 წ. „ქართული პრესა“.

³⁾ „ივერია“ № 110.



მა მას ფუჭეთ და უნაყოფოთ მიიჩნია. მაგრამ თუ მართლა ეს ასეა, იმ შემთხვევაში რაღა საჭიროა ქართული გაზეტი, ქართული პუბლიცისტიკა და საზოგადოთ მთელი ქართული მწერლობა? მოდით და გავაუქმეთ ყოველივე ეს და გადავესახლოთ „გარეშე მწერლობაში“! ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, თვით ბ. ნინია გარეჯელი რაღას უყურებს, რათ ეწევა იგი ფუჭედ და უნაყოფო შრომას ქართულ მწერლობაში და „გარეშე მწერლობას“ დროზე არ ესტუმრება! ეტყობა ამის მაღა კი ხანია გახსნილი უნდა ქონდეს მას. მაგრამ დახეთ ბ. ნინია გარეჯელის უბედურებას! ამ „გარეშე მწერლობაში“ (იგულისხმე ადგილობრივი რუსული მწერლობა) მისთვის ადგილი აღარ ყოფილა! „ისე მაგრა უჭირავთ ხელში—გვეუბნება ავტორი სომხებზე—ორი რუსული გაზეთი და ერთი ჟურნალი, რომ ვგონებ, სანამ სომხის სახელი არ გაქრება ქვეყანაზე, მანამა ეს ჟურნალ-გაზეთები არ წაუყვით ხელიდან... „ვინ დაგიჯერებდათ ამ ოცდაათი წლის წინეთ, რომ თფილისის რუსული მწერლობა სომხებს ჩაუფარდებოდათ ხელში და ჩვენ, ქართველებს, ნებაც არ გვექნებოდა იქ ხმის ამოღებისა“. საწყალი ნინია გარეჯელი! თურმე რა რიგათ გაქირავებული ქონებია საქმე და ქართულ მწერლობასაც ამიტომ შემოხიზნებია! ჩვენ ექვი შეგვაქვს იმაში, რომ ბ. გარეჯელმა სომხების მტრობა და ქართული პატრიოტობა მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსულენაზე წერის საშუალება წაერთვა. მაგრამ მეტათ ახირებული კია ბ. ნ. გარეჯელის პატრიოტობა: იგი ქართულ მწერლობის მნიშვნელობას სრულიად უარყოფს და იმავე დროს გვეფიცება: „ისე ღმერთი როგორ გამიწყრება, რომ დედა-ენა უცხოენას ეანაცვალო“. მაგრამ ბ. გარეჯელმა სხვა უფრო საინტერესო მხრითაც გაგვაცნო თავი: „მე ხომ იმერელი არა ვარო, ფხუკსა და ხრიკს მიედიო“, — განაცხადა მან საჯაროთ გაზ. „ივერიაში“. 4). ჩვენ კი გულწრფელათ ვისურვებდით, რომ ბ. ნინია გარეჯელი არა თუ იმერელი, არამედ გარეჯელიც არ იყოს. თორემ ან იმერლობა, ან კახელობა აქ რა მოსატანი იყო. გასაკვირალი და გასაოცარი ის არის, რომ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ბ. გარეჯელი ამბობს: „დიდი თაყვანის მცემელი ვარ იმ ცხოვრების სიბრძნისა, რომლის ნამდვილი წარმომადგენელი ქართველთათვის ვახტანგი და დავით აღმაშენებელი იყვნენ“. რას ნიშნავს ეს: ისტორიული პირების მასხარათ ავდებას, დაცინვას, თუ მკითხველის აბუჩათ აღებას! არა, გვეყოფა. ესეც ერთი საბუთი ბ. პ. უმიკაშვილისათვის.

მ. ასუბრე.

ეპონომიური წერილები.

I. შაქარი და შაქრის საქსმორტო ზრეშეება

ამ სამი კვირის წინეთ შაქარმა, ტკბილმა, გემრიელმა შაქარმა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, „შაქრის საკითხმა“ გერმანიის რეისტაგში დიდი აღიაროთი და პარტიების შეტაკება გამოიწვია. რამდენათაც ტკბილი და სასიამოვნოა თვით საგანი, იმდენათ მწარე და მკვახე იყო რეისტაგში წარმოთქმული სიტყვები. აგრარები და შაქრის ფაბრიკანტთა ინტერესების დამცველი ნაციონალ-ლიბერალები მთავრობას სამშობლოს დელატს წამებდენ და გერმანიის შაქრის მრეწველობის მოსალოდნელ დაღუბვაზე მოთქვამდენ. ისე გაამწარეს იმპერიის კანცლერი ბიულოვი, რომ მან ლიბერალებს შეუტია შემდეგი სიტყვებით: „მე სახელმწიფოს მოხელე ვარ და არა შაქრის ფაბრიკანტების ნოქარიო“. მეორე მხრით თავისუფალი მოაზრებები და უკიდურესი დემოკრატები აგრარებს და მრეწვე-

ლებს გაუმაძღრობას და ხალხის უზომო გაყვლეფის სურვილს უმტკიცებდენ. ერთი მხრიდან ისმოდა სტვენა და ირონიული სიცილი, ხოლო მეორე მხრიდან — ტაშის კვრამა და „საქართველოს ენციკლოპედია“

რა იყო, რამ ადელევა პრუსიელი მექამულები და მრეწველი ბურჟუაზია?

ამის საესებით შესაგნებათ საჭიროა მოვიხსენიოთ ჯერ შაქრის ბიოგრაფია და მერე მისი დაბაევის ისტორია, ე. ი. ჯერ შაქრის წარმოება და მერე მისი სახელმწიფოს საფინანსო მიზნისთვის გამოყენება.

შაქარს დღეს უმთავრესათ ორი მცენარისაგან ამზადებენ: შაქრის ლერწმისა და შაქრის ქარხლისაგან, თუმცა მისი გაკეთება რამდენიმე სხვა მცენარეებისგანაც (ქართობილი, სიმინდი) შეიძლება და ზოგიერთ ქვეყნებში წარმოებს კიდევ. შაქრის ლერწამი (saccharum officinarum) ქარხალთან შედარებით ბევრათ უფრო წინეთ ხმარობდენ შაქრის გასაკეთებლათ. აღმოსავლეთ ინდოეთის მცხოვრებლებმა უკვე რამდენიმე ათასი წლის წინეთ იცოდენ ლერწმის ტკბილი წვეწის გამოწურვა და მისი სხვა-და-სხვა მიზნისთვის ხმარება. თავდაპირველათ ხალხი შაქრის ლერწმის წვეწს მხოლოდ წვეწის სახით ხმარობდა, — მისი გადაღულება და მაგარ შაქრათ ქცევა არ იცოდა. ზოგიერთ ავტორების აზრით ლერწმის წვეწის ნამდვილ შაქრათ გადამუშავება მე-3-6 საუკუნეში (ქრისტეს შემდეგ) უნდა დაწყებულ იყოს. როგორც აღმოსავლეთ ინდოეთში, ისე ჩინეთში და სპარსეთში შაქრის ლერწამი ძველის ძველათგებლათ მოდიოდა. მესოპოტამიის დაპყრობის შემდეგ არაბებმა აქ გაიგეს შაქრის გემო. მერე ძალიან შეეჩვიენ შაქარს, ასე რომ საგრძნობელ მოთხოვნილებათ გადაექცათ მისი ხმარება. ამიტომ ყველა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ისინი ცდილობდენ შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენებას და შაქრის ხმარების გავრცელებას. არაბებისგან გავრცელდა შაქრის ლერწამი, მაგალითათ, ეგვიპტეში და შემდეგ აქედან სირიაში, კრეტის კუნძულზე, სიცილიაში, ისპანიაში და ბევრ სხვა ადგილებში.

მე-19 საუკუნის დამდეგამდე ყველგან მთელ დედამიწის ზურგზე ლერწმისგან დამზადებულ შაქარს ხმარობდენ. იმ ქვეყნებში, საცა ლერწამი არ ხარობს, დამზადებული ან ნახევრათ დამზადებული შაქარი შექონდათ ვაქრებს. ევროპაში ამ შაქარს უფრო ხშირათ წმენდდენ ქარხნებში და ისე ხმარობდენ. რასაკვირველია, იმ დროინდელ გზების და ტენიკის მიზეზით შაქარი მაშინ ძალიან ძვირი იყო და მხოლოდ მცხოვრებთა შეძლებულ ნაწილს შეეძლო მისი ხმარება. მაგრამ ეს გარემოება მე-19 საუკუნეში შეიცვალა და შეიცვალა იმის წყალობით, რომ ლერწამს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა. ეს კონკურენტი არის შაქრის ქარხალი: ევროპაში ქარხლისგან დაიწყეს შაქრის მზადება და მას მერე ლერწმის როლი და მნიშვნელობა შაქრის წარმოებაში თან და თან შესუსტდა.

ის კაცი, რომელმაც პირველათ აღმოაჩინა, რომ ქარხლისგან შესაძლებელია შაქრის გაკეთება, იყო გერმანელი, სახელათ მარგრადი და ხელობით ქიმიკოსი. 1747 წელს ბერლინში მან დამტკიცა, რომ ქარხალი შეიცავს ერთ ისეთ ნივთიერებას, რომელიც სრულიათ ემსგავსება შაქარს. ეს აღმოჩენა მარგრადისა ნახევარ საუკუნის განმავლობაში პრაქტიკულათ უნაყოფოთ დარჩა. მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ახარდმა მოკიდა ხელი მარგრადის აზრის პრაქტიკულათ განხორციელებას. გააშენა თავის მამულში პატარა ქარხლის პლანტაცია და ააგო ქარხანა ქარხლისგან შაქრის დამამუშავებლათ. მაგრამ იმ დროში ხშირმა ომებმა ახარდის დაწყებულება გაანადგურა. მხოლოდ აზრი კი მაინც არ გამქრალა. ფრანგებმა გადაიღეს გერმანელების იდეა და შეუდგენ

4) იხ. „ივერია“ № 131

მის პრაქტიკულათ სისრულეში მოყვანას. ნაპოლონ პირველიც ძალიან ხელს უწყობდა ამ აზრის განხორციელებას, ასე რომ მის დროს საფრანგეთში რამდენიმე ფაბრიკა დაარსდა ქარხლისაგან შაქრის დასამზადებლათ. ნაპოლონის დაცემის შემდეგ გერმანია თან და თან წელში გაიმართა და შაქრის წარმოებასაც იქ ახალი ხანა დაუდგა. გამრავლდა ქარხლის პლანტაციები და შაქრის ფაბრიკები არა თუ გერმანიაში, არამედ რუსეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში და ზევრ სხვა ქვეყნებშიაც. თან და თანი კულტურით შაქრისთვის ხმარებული ქარხალი გაუმჯობესდა ანუ, როგორც გერმანელები იტყვიან, „გაკეთილშობილდა“, ასე რომ ჩვეულებრივ ქარხლისაგან იგი შესამჩნევათ განსხვავდება.

როგორც ვთქვით, ქარხლის შაქრის წარმოებამ შაქრის ლერწამს მნიშვნელობა დაუკარგა. თუ წინეთ შაქარი მხოლოდ ლერწამისგან მზადდებოდა, ახლანდელ დროში შაქრის უუდიდესი ნაწილი ქარხლისგან კეთდება. ლერწამის შაქარს აწარმოებენ დღეს უმთავრესათ შემდეგი ქვეყნები: აღმოსავლეთ-ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინის კუნძულები, ეგვიპტე, ავსტრალია, მექსიკა და სამხრეთ-ამერიკა. საკვირველია, რომ უმეტესათ ამ ქვეყნებში დღესაც წარმოება მეტათ პრიმიტიულ წეს-რიგზე არის დაყენებული. წარმოება ძველი წესით და ძველი იარაღებით ხდება. ლერწამს ჩქქვენ წისქვილის ქვებით, რომლებსაც აღამიანი ან ცხოველი ამოძრავებს, და შემდეგ წვენს ხარშვენ ქვაბებში. სიროფს თან და თან აკლებენ, სანამ გამაგრებული შაქარი არ დარჩება ქვაბებში. ეს ისეთი წესია, როგორსაც ხმარობდნ სწორეთ ათასი წლის წინეთ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ტენიკის მხრით ქარხლის შაქრის წარმოება. მართალია, თავდაპირველათ ესეც ძალიან მარტივათ და პრიმიტიულათ წარმოებდა, მაგრამ ეს შემდეგში შეიცვალა. დღეს შაქრის წარმოება მსხვილი მრეწველობაა. თითოეულ შაქრის ფაბრიკის დასაარსებლათ და საწარმოებლათ საჭიროა დიდძალი კაპიტალი და მეტათ რთული მაშინური მოწყობილობა.

ტენიკა შაქრის წარმოებისა ასეთ მოკლე წერილში ძნელი გადმოასაცემია. ამიტომ მოვიხსენიებთ მხოლოდ წარმოების პროცესის მთავარ მომენტებს. ქარხალს ჯერ გადაჭრიან ფოთლების მხარეს, შემდეგ გარეცხენ და მაშინით წვრილათ დაჭრიან. წვრილათ დაჭრილი ქარხალი გადადის რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმულ აპარატებში, რომლებშიაც მას ტკბილი (შაქრის) წვენი ეცლება. დარჩენილი, ტკბილ წვენ-გამოცლილი ნაჭრები გადადის მეხანიკურათ ქახრაკს ქვეშ, საცა მათ წყალს (სისველეს) აცლიან. გამშრალ ნაჭრებს ქახრაკი სროლილობს საწყობში. ეს ქარხლის წვენ-გამოცლილი და გამშრალი ნაჭრები პირუტყვების საკვებათ იხმარება. ის ტკბილი წვენი, რომელიც გამოეცალა ქარხალს აპარატებში, საჭიროა მალე გადამუშავდეს, რომ არ აღუდღეს და არ წახდეს. ეს წვენი გადადის მაშინვე ისრედ წოდებულ განმაცალკეებელ მაშინაში, რომელშიაც მას კირის შერევით უშაქრო ნივთიერებებს აცლიან. შაქრისაგან კირის გამოსაცლელათ ნახშირ-მჟავს ხმარობენ. ამ წვენში ურევია, რასაკვირველია, ტალახი და ლორწო. ამისთვის წვენს ფილტრის პრესში უშვებენ და იქ წმენდენ. გაწმენდილი წვენი შედის ორთქლის აპარატში, საცა იგი სქელდება. იმ უშაქრო ნივთიერებათა გამოსაცლელათ, რომლებიც გამოცალკევდება ამ აპარატში ხარშვის დროს, წვენს ისევ ფილტრში უშვებენ და წმენდენ. აქედან იგი გადადის სახარშავ მაშინაში და იხარშება. ხარშვის დროს მას ურევენ ცოტა სიროფს. ამ მაშინიდან გამოდებულ ნივთიერებას განსაკუთრებულ ქურტლებში აცივებენ და შემდეგ მოძრავ ქვაბში უშვებენ. ამ ქვაბს კედლები დახვრეტილი აქვს. ქვაბი ქანაობს და ახლის კედლებს იმ ნივთიერებას, რომელიც შიგ

ქვაბშია. ამ ქანაობის დროს სიროფი ნახვრეტებში გამოდის და ქვაბში რჩება კრისტალისებურათ გამაგრებული შაქრის მარცვლები. ეს არის ნახვერათ დამუშავებული ქანუწველი შაქარი. ნედლი შაქრის გადამუშავება განსაკუთრებულ ქანაწმენდ ფაბრიკებში ხდება. აქ ნედლ შაქარს გააღნობენ ცხელ წყალში, ფილტრში გაწმენდენ, შემდეგ გადახარშვენ, ფორმებში ჩაახამენ და გააცივებენ.

როგორც ხედავთ, წარმოების პროცესი ძალიან რთული და დახლართულია. რაც დღე მიდის, იმდენათ წარმოების ტენიკა წინ მიდის და წარმოების პროცესები კიდევ უფრო რთულდება. ტენიკის განვითარება კი იმის მაჩვენებელია, რომ წარმოება თან და თან მეტი კაპიტალი ქირდება, რომ წარმოება თან და თან მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებათ იქცევა.

თუ რამდენათ იზრდება და წინ მიდის ქარხლის შაქრის მრეწველობა, ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდან დაინახავს.


დაამზადა 1000 ტონი *) ქარხლის შაქარი

საწარმოო წელს	გერმანია	საფრანგეთი	რუსეთი	ავსტრია	ბელგია	ნიდერლანდი	სხვა ქვეყნებში	ყველა ერთათ
1859—60 წ.	145	111	30	84	17	3	—	451
1869—70	217	189	132	151	43	12	—	846
1879—80	415	277	300	439	75	23	7	1539
1889—90	1260	783	444	740	203	69	32	3523
1890—91	1331	694	544	778	205	70	35	3666
1891—92	1198	650	550	780	180	40	43	3437
1892—93	1231	528	455	802	180	68	52	3372
1893—94	1366	548	647	834	220	72	108	3795
1894—95	1828	748	601	1045	240	80	157	4699
1895—96	1637	660	717	781	220	103	163	4281
1896—97	1821	742	720	928	280	156	190	4837
1897—98	1844	811	720	822	234	126	198	4755
1898—99	1722	782	755	1042	209	150	167	4827
1899-1900	1795	918	898	1098	270	169	308	5456
1900—01	1970	1146	928	1064	320	180	432	6040

ასე დიდა დღეს ქარხლის შაქრის წარმოება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, სახელმწიფო, რომელიც მუდამ ეძებს საგნებს ბაჟის და გადასახადების დასადებათ თავის ხაზინის საშუალებათა გასაძლიერებლათ, არ დატოვებდა შაქარს თავისუფლათ, — უბაჟოთ და უგადასახადოთ. დღეს იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ბაჟი და შინაური მოხმარების გადასახადი არ ქონდეს შაქარზე დაწესებული. დიდ სახელმწიფოებში ერთათ ერთი ინგლისი იყო, რომელიც უბაჟოთ უშვებდა თავის საზღვრებში უცხოეთის შაქარს. შარშან ბურებთან ბრძოლაში გაწეულ ხარჯების ნაწილის დასაფარავათ იმანაც შემოიღო შაქრის ბაჟი.

შაქარზე გადასახადის დასაწესებლათ საფინანსო მართველობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში სხვა-და-სხვა სისტემას ხმარობს. ეს სისტემები ოთხ ჯგუფათ შეიძლება დავყოთ. 1) გადასახადი წესდება შაქრის მასალაზე, ე. ი. ქარხალზე. კანონი ამბობს, ფაბრიკანტმა, ვთქვით, ერთ ფუთ ქარხალზე, რომელსაც იგი თავის ფაბრიკაში დამუშავებს, ამდენი და ამდენი გადასახადი უნდა გადახადოს. ამ შემთხვევაში, რადგან გადასახადი მასალაზეა აღებული, დამზადებული შაქარი განთავისუფლებულია გადასახადისაგან და ფაბრიკანტს თავისუფლათ შეუძლია ფაბრიკიდან თავისი შაქრის გატანა და გაყიდვა. 2) ან სახელმწიფო ნახვერათ დამზადებულ ნაწარმოებზე აარსებს გადასახადს. კანონი ამბობს, ამდენი წონისა და სისქის წვენ-

*) ტონი შეიცავს 1000 კილოგრამს. კილო 2,44 გირვანქას ეთანასწორება.



ში, რომელიც ფაბრიკაში შაქრით კეთდება, ამდენი და ამდენი გადასახადი უნდა იქნეს აღებული. 3) ან კიდევ გადასახადი სრულიათ დამზადებულ შაქარზე წესდება. კანონით გამოცხადებულია, თუ რამდენი გადასახადი უნდა იქნეს აღებული სახელმწიფოსთვის შაქრის განსაზღვრულ რაოდენობაზე, და ამის მიხედვით იხდის ყოველი ფაბრიკანტი მის მიერ დამზადებულ შაქარში გადასახადს. 4) სამივე აქ მოხსენებული სისტემა შაქარზე გადასახადის დანიშვნისა შეეხება მხოლოდ თვით სახელმწიფოში დამზადებულ შაქარს. ეს არის შინაურ მოხმარების გადასახადის დაწესების სისტემები. იმ შაქარზე კი, რომელიც შემოდის საზღვრებში უცხოეთიდან, სახელმწიფო ბაჟს აწესებს და შემოტანილ საქონლის რაოდენობის მიხედვით ახდენებს შემომტან ვაჭარს.

თითოეულ აქ ნახსენებ სისტემას საფინანსო ტენიკის და პოლიტიკის მხრით თავისი ღირსება და ნაკლებეფანება აქვს. ამის დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აქ ვერ გამოვუდგებით, რადგან ამას ნაკლები ინტერესი აქვს. საკმარისია ვთქვათ, რომ საზოგადოთ შაქარზე დაწესებული გადასახადი, რომელი სისტემითაც უნდა იყოს იგი, სულ ერთია, უეჭველათ უარსაყოფელი და დასაგმობია. დასაგმობია, რადგან იგი, ვითარცა არაპირდაპირი გადასახადი, მძიმე ტვირთათ აწვება ხალხის ღარიბ ნაწილს, ე. ი. უმრავლესობას, უძნელებს ცხოვრებას და კულტურულათ წინმსვლელობას. ვთქვათ, ფუთ შაქარზე ცხრა აბაზი გადასახადი არის დაწესებული. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ თითო გირვანქა შაქარზე 4 1/2 კაპ. უნდა იხადოს მყიდველმა სახელმწიფოსათვის. შაქარს ყიდულობს მდიდარიც და ღარიბიც; ერთიც და მეორეც 4 1/2 კაპ. იხდის თითო გირვანქა შაქარზე. და მერე სამართალია ეს? მდიდრისთვის ეს გადასახადი სრულიათაც საგრძნობელი არაა, ღარიბისთვის კი 4 1/2 კაპ. დღიური შემოსავლის მეათედს ან კიდევ მეტ ნაწილს შეადგენს. სამართალი მოითხოვს, რომ გადასახადი ყველასთვის ერთნაირათ საგრძნობელი იყოს, ყველას ერთნაირათ აწვეს ტვირთათ, რომ გადასახადის აღების დროს გადახდელის ქონება—შემოსავალი, შეძლება— შეუძლებლობა მხედველობაში მიღებულ იყოს. აქ კი არც ერთი ეს არ ხდება. თუნდა ორათ-ორი აბაზის პატრონი იყო, თუ გირვანქა შაქარს ყიდულობ, 4 1/2 კაპ. გადასახადი უნდა გასწიო სახელმწიფოსათვის. მართალია, ყიდვის დროს არავინ გეუბნება, რომ გადასახადს იხდი, მაგრამ ამით გარემოება არ იცვლება. გადასახადი თავდაპირველათ ფაბრიკანტს აქვს გადახდილი, შემდეგ ეს მან ვაჭრისგან აიღო? რადგან აწეულ ფასში მიყიდა; ვაჭარიც ასე აწეულ ფასში ყიდის შაქარს და გაღებულ გადასახადს შენგან, მყიდველისაგან, იბრუნებს.

რამდენათაც მატულობს შაქრის ხმარება ხალხში, იმდენათვე დიდდება ის შემოსავალი, რომელიც აქვს სახელმწიფოს შაქარზე დაწესებულ გადასახადისაგან. მაგალითათ, გერმანიას შესვლია ამ წყაროთი 1876 წელს 30 მილიონი მანხლო 1900 წ. 60 მილიონი მან., საფრანგეთს (1899 წ.) 80 მილიონი მან., რუსეთს (1896 წ.) 42 მილ, მანათი.

სანამ ევროპაში ქარხლის შაქრის წარმოებას დაიწყებდენ, შაქარზე მარტო ბაჟი იყო დაწესებული. ამ ბაჟს იღებდა სახელმწიფო იმ ლერწმის შაქარზე, რომელიც შექონდათ იქ ვაჭრებს უცხოეთიდან. შემდეგ, როცა შინაურ შაქრის წარმოება განვითარდა, სახელმწიფომ შინ წარმოებულ შაქარსაც დააღდა გადასახადი.

ასე იყო შაქრის გადასახადის საქმე კერძოთ გერმანიაშიც 1841 წლამდე აქ მხოლოდ ბაჟი არსებობდა. მაშასადამე, იმ დროინდელი გადასახადი მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილ შაქარს ეხებოდა. მაგრამ შემდეგ განვითარდა შინაურ შაქრის წარმოება და საფინანსო მართველობასაც შალა აღედრა.

დააწესეს გადასახადი შინაურ შაქარზედაც. ეს იყო გადასახადი, დაწესებული მასალაზე, ე. ი. ქარხალზე. კანონით დადგენილი იყო, თუ განსაზღვრულ წონის ქარხალზე უნდა იქნეს გადასახადი უნდა გადახდილიყო.

ბიზნისი

ერთი შეხედვით, ასეთი სისტემა გადასახადის დაწესებისა მარტივი უნდა იყოს. მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ გამოდგა. მე-19 საუკუნის მესამოცე წლებში შაქრის წარმოება გერმანიაში ისე გაიზარდა, რომ მას შინაური ბაზარი ვეღარ აკმაყოფილებდა. შაქარს დაუწყეს ზიდვა მწარმოებლებმა საზღვარგარეთ მსოფლიო ბაზარზე გასასაღებლათ. და, აი, აქ წარმოდგა კითხვა: როგორ უნდა დაუბრუნოს სახელმწიფომ შაქრის მსოფლიო ბაზარზე გამტანთ ის გადასახადი, რომელიც აუღია მათგან შაქრის ფაბრიკაციის დროს. დაწესებული გადასახადი, თვით კანონ-მდებლის განზრახვით და მიზნით, შინაურ მომხმარებლებს უნდა გადახდენოდათ. მაგრამ, როცა ფაბრიკანტს შაქარი საზღვარ-გარეთ გაქონდა, იგი შინაურ მომხმარებლებს აშორებდა ნაწარმოებს. მაშასადამე, თუ მთავრობა წაღებულ გადასახადს არ დაუბრუნებდა, გადასახადი ფაბრიკანტის საკისრებელი გახდებოდა. რა თქმა უნდა, ფაბრიკანტები მოყვენ ყვირილს და მთავრობასთან ჩივილს: თუ წაღებული არ დაგვიბრუნე, მსოფლიო ბაზარზე სხვებს კონკურენციას ვერ გავუწევთ, საქონელს მათსავით იაფათ ვერ გავყიდით, გავკოტრდებით და ჩვენი ეროვნული შაქრის მრეწველობა გაქრებაო. კანონით ფაბრიკანტები სრულიათ მართალი იყვენ, —ექსპორტერ ფაბრიკანტებისთვის მთავრობას აღებული გადასახადი უნდა დაებრუნებია. მხოლოდ გასაჭირი იმის დადგენა შეიქნა, თუ რა ნაირი ანგარიშის მიხედვით უნდა დაებრუნებია. მას გადასახადი დაუშუშავებელ ქარხლის რაოდენობის მიხედვით ქონდა აღებული. აქ კი ფაბრიკანტს მზა-მზარეული შაქარი გაქონდა გასაყიდათ. სხვა ნაირათ არ მოხერხდებოდა, —მთავრობამ ივარაუდა დაუშუშავებელ ქარხლისგან რამდენი წმინდა შაქარი მიიღებოდა, დაადგინა ნორმა და ამ ნორმის კვალობაზე დაუწყა ექსპორტერ ფაბრიკანტებს მიღებულ გადასახადის უკან ძღვევა. მაგალითათ, აზრის მარტივათ წარმოსადგენათ, ვთქვათ, 12 ფუთ ნედლ ქარხლისაგან ფაბრიკანტი 1 ფუთ შაქარს ამზადებდა. 12 ფუთ ქარხალზე 1 მანათი იყო გადასახდათ დაწესებული. მთავრობამ მიიღო ეს ნორმა და რამდენ ფუთ შაქარსაც გაიტანდა ფაბრიკანტი საზღვარ-გარეთ, იმდენ მანათს უბრუნებდა.

მაგრამ წარმოების ტენიკა ერთ დონეზე არ დგას, რათანდათან წინ მიდის. განვითარებული ტენიკის წყალობით ფაბრიკანტი ახერხებს ამ ნორმაზე ნაკლები ქარხალი დახარჯოს და შაქარი კი წინანდელის ოდენა გააკეთოს. ვთქვათ, ტენიკის წარმატების წყალობით, მან, ნაცვლათ 12 ფუთისა, 8 ფუთ ქარხლისგან გააკეთა ერთი ფუთი შაქარი. იგი საზღვარ გარეთ გზავნის 3 ფუთ შაქარს და მთავრობას გადასახადის დაბრუნებას თხოვს. მთავრობაც ფუთი შაქარზე 12 ფუთ ნედლ ქარხლის ანგარიშით აძლევს სამ მანათს. ცხადია, აქ ფაბრიკანტი იგებს. მან დახარჯა მხოლოდ 24 ფუთი ქარხალი, რომელშიაც გადასახდათ სახელმწიფოს 2 მანათი მისცა აქ კი იგი, ნაცვლათ ორისა, 3 მანათს იღებს სახელმწიფოსაგან. 1 მანათი მას ფარულ პრემიათ რჩება.

ასეთი მოვლენა, როგორიც ჩვენ აქ ამ მაგალითში აღვნიშნეთ, ნამდვილათ მოხდა. ტენიკის განვითარების წყალობით გერმანიის შაქრის ფაბრიკანტები ახერხებდენ ქარხლისგან თანდათან მეტი შაქრის გამოწოვას. აი, ამისი მოჩვენებული ორიოდე ციფრიც. გაკეთებული შაქარი

1836	წელს ეთანასწორებოდა დახარჯულ ქარხლის	5,55	%-ს
1880	" " " "	9,04	"
1885	" " " "	11,85	"
1890	" " " "	12,54	"
1895	" " " "	14,02	"
1900	" " " "	14,86	"

ამ სახით საქონლის საზღვარ-გარეთ გატანის დროს ფაბრიკანტები იბრუნებდნენ მთავრობისაგან იმაზე მეტს, რაც თვითონ გაეღოთ გადასახადის სახელით. აქ მათ გაეხსნათ მუდმივი მოგება, რომელსაც ფარულ პრემიას უწოდებდნენ.

1891 წ. გერმანიაში შეიკვალა შაქარზე გადასახადის დადების სისტემა. ნაცვლათ ქარხლისა გადასახადი დამზადებულ შაქარს დაედო. ამ სახით ფაბრიკანტებს დაფარულ პრემიის მიღება აღარ შეეძლოთ. მსოფლიო ბაზარზე გატანილ შაქარში მთავრობა გადასახადს არ ახდევინებდა და ამიტომ არც არაფერს დაუბრუნებდა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ დაჩვეულსა ნუ მოაკლებო. ფაბრიკანტები დაეჩვივნ პრემიის მიღებას და ახლა აღარ უნდოდათ გამოთხოვებოდნენ. იმათ გამართეს საშინელი აგიტაცია და მოახერხეს, რომ კანონით შაქრის ექსპორტერებისთვის ცხადი პრემია დანიშნულიყო. დაინიშნა პრემია. ჯერ 1 მანათი დადგინეს ყოველ 6 ფუთ მსოფლიო ბაზარზე გატანილ შაქარზე პრემიით და შემდეგ 1896 წ. ეს მანათ ნახევრათ გახადეს. ეს იყო საჩუქარი, რომელიც ეძლეოდათ შაქრის ფაბრიკანტებს ნაწარმოების საზღვარ-გარეთ გასასაღებლათ გატანისათვის.

უადგილობის გამო არ შეგვიძლია, თუნდა მოკლეთაც, მოვიხსენიოთ აქ შაქრის დაბაჟვის ისტორია რუსეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში. ვაკვრით ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსეთში დაწესებულია ბაჟი უცხოეთიდან შემოტანილ შაქარზე და მოხმარების გადასახადი შაგ რუსეთშივე დამზადებულზე. საფრანგეთში, ავსტრიაში და ბელგიაში გარდა ამისა ცხადი პრემიებიც არის საექსპორტო შაქარზე დაწესებული. ინგლისში არ მოდის ქარხალი და შაქრის წარმოებაც არ არის. უცხოეთიდან შემოტანილ შაქარზე ინგლისმა, როგორც წინეთ შევნიშნეთ, მხოლოდ შარშან შემოიღო ბაჟი.

თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს მიერ შაქრის ექსპორტერებისათვის პრემიების მიცემა, ეს ყველასთვის ცხადი და აშკარა უნდა იყოს. პრემიების ფული იხარჯება სახელმწიფოს ხაზინიდან. როგორ გროვდება აქ ფული? სხვათა შორის აი ამ გზით: შაქარზე გადასახადი დადებული, ხალხი შაქარს, ამ დიდ მოთხოვნილებათ გადაქცეულ ხმარების საგანს, ყიდულობს და გადასახადს იხდის. ვინ მოთელის, ვის რა წვითა და დაგვით, რა ოფლით და წვადლებით მოუპოვებია ის ფული, რომელსაც მას შაქრის ქამისთვის ახდევინებენ. მაგრამ სახელმწიფო ამას არ ჯერდება. იგი ამ ფულის ნაწილს მეშაქრე ფაბრიკანტებს აძლევს, რომ მათ ხალხს ღონე გამოაცალონ და თვითონ მილიონები შეიძინონ.

ეს მილიონების შექმნა ძალიან მარტივად ხდება. პრემიების წყალობით ფაბრიკანტს შეუძლია იმაზე ნაკლებ ფასში გაყიდოს შაქარი მსოფლიო ბაზარზე, რაც თვითონ უზის. იქ რომც ზარალობდეს, შინაური ბაზარი იხსნის და ზარალს მოგებათ უქცევს. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ნიშნავს წარმოების მუდმივ ზრდას, ნაწარმოებთა ჯამის მუდმივ გადიდებას. წარმოების გადიდებათ მცირდება ხარჯები, რომლებიც უწევს თითოეულ ნაწარმოებს. მაშასადამე, მსხვილ მწარმოებელს შეუძლია თან და თან გააიფოს თავისი ნაწარმოები. შაქრის ფაბრიკანტიც ამ წესს ადგია. იგი იღებს მოწყალე მთავრობისაგან პრემიებს, ადიდება წარმოებას, ყიდის საზღვარ გარეთ იფეთ, რომ მეტოქეებს აჯობოს, ხოლო შინ,

თავის სამშობლოში, ადგენს თავის ამხანაგებთან ერთად კარტელებს და აძვირებს ნაწარმოებს. მან იცის, რომ შინაურ ბაზარში ვერაფერ შეეცილება, — უცხოეთიდან შემოსულ საჭირო ნელზე დიდი ბაჟია დადებული. და ასე შაქრის მკეთებელი შაქარსავით ტკბილათ თლის და თლის თავის თანამოძმეებს, თანაც პატრიოტობს და თავი მოაქვს, სამშობლოს ვემსახურები, ეროვნულ მრეწველობას ვავითარებო.


დაბოლო მკითხველი, რომელსაც სხვა და სხვა პოლიტიკო-ეკონომიურ თეორიებით ტვინი არ გალაცებია, უეჭველია, ასეთ ამბავზე გაკვირდება. და განა არ არის გასაკვირი? სახელმწიფო საზოგადო ფულს ხარჯავდეს იმისთვის, რომ შინაურ ხალხს ნაწარმოები გაუძვიროს, ხოლო უცხოეთს ჩაღის ფასათ აძლიოს, ერთი სიტყვით საკუთარი ხალხის უმრავლესობა ეკონომიურათ დააბეჩავოს და დააუძღუროს, რომ ამით რამდენიმე ფულის მაგნატებს სიმდიდრე და ეკონომიური ძალა-გავლენა შესძინოს, — აბა რა უნდა იყოს ამაზე უფრო გასაკვირი და გასაოცარი. მიუხედავად ამისა, ეს ამბავი მოგონილი არ არის; ამას ამტკიცებს ჩვენი ტკბილი შაქარი.

ყველა სახელმწიფოს მთავრობა გრძნობდა პრემიებით შექმნილ ანორმალურ მდგომარეობას, მაგრამ თავისთავათ, სხვებთან შეუთანხმებლათ, ვერაფერი მოეხერხებია. რამდენჯერმე გამართულა საერთაშორისო შაქრის კონფერენციები, მაგრამ ამ კონფერენციებს დღემდე ძალიან ცოტა ნაყოფი მოყოლია შედეგათ. როგორც ვეცუბა, ყველა წინანდელგებზე უფრო ნაყოფიერი უნდა იქნეს ბრიუსელის კონფერენცია, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ გაიმართა.

ამ კონფერენციაზე შეკრებილი იყვენ შემდეგ სახელმწიფოთა წარმომადგენლები: გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრო-უნგრეთის, ინგლისის, ბელგიის, ისპანიის, იტალიის, ნიდერლანდის, რუმინის და შვეციის. წარმომადგენლებს ქონდათ ხანგრძლივი ბჭობა შაქრის საერთაშორისო აღებ-მიცემობის მოწესრიგების შესახებ. ამ მოწესრიგებაში პირველი ალაგი უჭირავს პრემიების კითხვას. სახელმწიფოთა შორის მოხერხდა შეთანხმება. წარმომადგენლებმა შეადგინეს ხელ-შეკრულობა და ხელი მოაწერეს, რომ კონფერენციაში მონაწილეობის მიმდებ სახელმწიფოებში 1903 წლის 1 სექტემბრიდან 5 წლის ვადით შაქრის პრემიები მოსპობილ იქნეს.

საკვირველი ის არის, რომ პრემიების მოსპობაზე ინგლისი დათანხმებულა, — ამათი მოსპობა ყველაზე უფრო ენერგიულათ მას მოუთხოვია. ერთი შეხედვით ეს გაუგებარი მოვლენაა. თითქოს ინგლისს თავისი ინტერესები ვერ შეუგნია და ვერ დაუცავს. იმ პრემიების წყალობით, რომლებიც ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებში არსებობს, ინგლისი მუდამ იფეთ ყიდულობდა შაქარს. ყოფილა ისეთი დრო, როცა ინგლისში შემოტანილი შაქარი ისე იფეთ ყოფილა, რომ იმით ღორებს ასუქებდნენ. ახლა, პრემიების მოსპობით, შაქრის ფასი ინგლისის ბაზარზე აიწვეს. მაშასადამე, ბრიუსელის კონფერენციაზე შეთანხმების წყალობით ინგლისელ ხალხს უფრო ძვირათ მოუხდება შაქრის ყიდვა.

რასაკვირველია, ინგლისმა ეს გარემოება კარგათ იცოდა, როცა ხელ-შეკრულობაზე თანხმობა გამოაცხადა. მაგრამ მას უნდა, რომ მის კოლონიებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ინდოეთში არსებულ შაქრის წარმოების ინტერესები დაიცვას. სანამ კონტინენტზე პრემიები არსებობს, ვერც კოლონიების და ვერც ინდოეთის შაქარი ევროპისას კონკურენციას ვერ გაუწევს. ახლა, პრემიების მოსპობის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასი აიწვეს და, მაშასადამე, ინგლისის კოლონიების შაქრის ექსპორტერებსაც შეეძლება თვითონ შაქარში უკეთესი ფასის აღება.



თუმცა ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, მაგრამ ამით მაინც ჯერ ხელშეკრულობა ძალაში არ შესულა. ხსენებულ სახელმწიფოებში ყველგან პარლამენტარული წეს-წყობილება არსებობს. ხელშეკრულობას მხოლოდ მაშინ მიეცემა ნამდვილი ძალა, როცა ამაზე თითოეულ სახელმწიფოს მთავრობა პარლამენტისგან დასტურს მიიღებს.

და, აი, სწორეთ ამის გამო ატყდა ამ სამი კვირის წინეთ ალიაქოთი და შეტაკება გერმანიის რეისტაგში. მთავრობას უსაყვედურებდნენ ქარხლის მწარმოებელი აგრარიები და შაქრის ფაბრიკანტების ვეჟილები, რომ იგი დათანხმდა და ხელი მოაწერა ბრიუსელის ხელ-შეკრულობას. კონსერვატორებს და ლიბერალებს არ უნდათ, რასაკვირველია, რომ რეისტაგმა დასტური მისცეს მთავრობას და პრემიების მოსპობა დააკანონოს.

მაგრამ, როგორც ვთქვამთ, მათი ტლინკვა ნაყოფს ვერ მოიტანს. მთავრობის მომხრეა ამ შემთხვევაში რეისტაგის უმრავლესობა. ამიტომ, თუ სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებმა ხელშეკრულობაზე თანხმობა გამოაცხადეს, ეჭვი არ არის, ბრიუსელში მომხდარი შეთანხმება ძალაში შევა და ამით ხალხისთვის ერთი სასარგებლო სავაჭრო-პოლიტიკური ზომა განხორციელდება.

ფ. გ.

სსვა-და-სსვა აშბები.

თფილისის ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრათ ბ-ნმა გუბერნატორმა დაამტკიცა ბ-ნი კოკჩაივი. როგორც ვთქვით, საბჭომ ამ თანამდებობაზე სამი კანდიდატი წარადგინა: სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სტეფანოვი, კოკჩაივი და სვეშნიკოვი.

„კავკაზს“ ატყობინებენ, რომ ქალაქ თფილისის თვითმართველობას აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თფილისში (ავლაბარში) დაარსდეს საშუალო რვა-კლასიანი სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებელი სამთო-საქარხნო განყოფილებით. ეს შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობას საერო განათლების სამინისტროსათვის უცნობებია.

იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ქალაქ თფილისის თვითმართველობის შუამდგომლობა პოლიტექნიკუმის დაარსების შესახებ თფილისში სამთო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებით, აგრეთვე შუამდგომლობა, პოლიტექნიკუმის შენობის ასაგებათ და შესანახათ შემოწირულებათა შეკრების ნებართვის შესახებ, მიწათ-მოქმედების და შინაგან საქმეთა სამინისტროებს არ შეუწყნარებიათ.

საპატიმროთა უწყებას აზრათა აქვს თფილისში დაარსოს მუშათა სახლი. სახლი ორთაქალაში იქნება. როგორც გამოანგარიშებულია, სახლი რამდენსამე ათას მანეთათ დაჯდება.

ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს კანონიერათ უცვნია საქალაქო არჩევნებზე შეტანილი საჩივრის ის მუხლი, სადაც ნათქვამია, არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი პირნი, რომელნიც სამართალ ქვეშ იმყოფებიანო. რადგან ასეთ პირთ ცამეტი ხმა ქონიათ, ამიტომ გუბერნიის საკრებულოს დაუდგენია—ეს ცამეტი ხმა გამოაკლდეს ხმოსნებათ არჩეულ პირთათ თეთრ კენჭებს; ის პირნი კი, რომელთაც საარჩევნო კანონის წინააღმდეგ მონაწილეობა მიუღიათ არჩევნებში, პასუხის გებაში იქნენ მიცემული. ამგვარათ ქუთაისის ისედაც რიცხვ-მკირე ქალაქის საბჭოს კიდევ აკლდება

10 ხმოსანი, რომელნიც ცამეტი ხმაზე ნაკლებით გათეთრდნენ. ესენი არიან: ს. პ. ფირალოვი, ს. უ. ბარქაია, ა. გ. ასვლედიანი, ვ. ი. პეტრიაშვილი, ს. დ. ჯაფარიძე, მ. მ. ხაჩიძე, თ. ი. ნ. ნიჭირაძე, ი. პ. ჯაიანი, ი. დ. გ. კოკოჩაშვილი (უკანასკნელი თუმცა 87 ხმის უმეტესობით გათეთრდა, მაგრამ ისეთი პირისაგან ქონია გადმოცემული ვეჟილობა, რომელიც პასუხის გებაში ყოფილა მიცემული).

ამგვარათ მომავალ ახალ საბჭოს ეყოლება 49 ხმოსანი.

როგორც მოგვხსენებთ, ექიმ ვოინოს მოსამსახურეთ ყოფილს ჰუსეინ რაჰიმ-ოღლის, რომელსაც ბრალდებოდა კოსაკოვსკის ქალის მოკვლა, საოლქო სასამართლომ გადაუწყვიტა 20 წლის კატორღა.

15 ივნისს მიაჩრთვა სამოსამართლო პალატას ჰუსეინ-რაჰიმ-ოღლის ვეჟილმა ბ-ნმა ზავრიევმა სააპელაციო საჩივარი. საჩივარში ვეჟილი წერს: ჰუსეინ-ოღლიმ კი არ მოკლა კოსაკოვსკის ქალი, არამედ მკურნალმა ვოინომ, რომ ის, როგორც ჰუსეინ-ოღლი ამბობს, იმ დროს იქ ყოლია დამალული კოსაკოვსკის ქალს, წაქომაგებია დედაკაცს და ამასობაში დაუჭრია ვოინო.

კორესპონდენცია.

ლანჩხუთი. ამას წინათ მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ლანჩხუთის საზოგადოებამ მიუხედავად ათას გვარი გადასახადისა, განახენი შეადგინა, არსებული ორკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდეს სამოქალაქო სასწავლებლათ. ეს განახენი სამინისტრომ უკვე დაამტკიცა და საბოლოო გადაწყვეტილი 7 ივნისს საზოგადოებას გამოეცხადა. საზოგადოებამ დაუთმო საქალაქო სასწ. არსებული ორკლ. სკოლის შენობა დირეჟული 5850 მ., ეფექტ წელს უნდა იხადოს 1770 მ., სწავლის ფული კი ადგილობრივმა მკვიდრმა 6 მ., ხოლო გარეშე შირმა 16 მ. ამასთან სკოლის შენობის შეკეთება, სამი საკლასო ოთახის დაქირავება, ინსპექტორისთვის ბინის დაქირავება ისევე საზოგადოების ხარჯზე რჩება. საზინა ექვთა მხოლოდ 804 მ. წლიურათ. მაგრამ არც ამით გათავდა საქმე. 11 ივნისს აქ მოვიდა სახლხა სკოლების დირექტორი და წინადადება მიცა საზოგადოებას დაარსონ ახალი ორკლ. სასწავლებელი, რისთვისაც საზინა ექვთა წლიურათ 400 მ. საზოგადოება დათანხმდა ასეთი განახენის შედგენაზე და კიდევაც წარადგინა განახენი დასამტკიცებლათ გუბერნატორთან, ასე რომ შირველი ივლისიდან ლანჩხუთში არსებობს სამოქალაქო სასწ., ხოლო შირველი ენკენისთვის ახალი ორკლ. სასწავლებელი...

დადგა ზარკის უიღვის დრო თუ არა, ჩვენმა წვრილ-ფუნა ვაჭრუკანებმა გამომსყურეს „გირვანქა-ზარია“ სასწორები. წელს საზოგადოათ ზარკის მოსავალი გურიაში შედარებით გასულ წლებთან მეტათ ნაკლებია. ლანჩხუთში კარდა ამხანგებისა ხუთი ფარდულია, მუიდეგლები სულ ჩამოსული ხაღსია. მათ შორის ორი ჩვენებური ურუკია. ეს მისხვილი მუიდეგელი. ესლ კომისიონერებს არ იტყვი! ჯახი რომ მოიქნია, უთუოთ კომისიონერებს მოხვდება. თითქმის მთელი წელიწადია კომისიონერი უქმათ დასეტიალებს, მხოლოდ ზარკის დროს მოაწუბოს თავის მარჯვენა ხელს—სასწორს და მიდის სოფლათ, ადგილობრივ რჩება. კომისიონერს აქვს დარიგებული სამეთხედოთ თესლი. ამასთან მეპარემუმეს შირობა აქვს მიტეპული ზარკი უთუოთ მასვე მიუიდას. ერთ კოლოფ თესლზე, ორთა შუ, ვიანკარიშოთ 2 ფუთი ზარკი. მართლათ რამდენიმე წანდება, მაგრამ სამავიეროთ რამდენიმე მეტი კეთდება. წელს ზარკი აქ გაიუიდას საშუალო რიცხვით 15 მანათამდე ფუთი. ერთი კოლოფიდან (2 ფ.) კომისიონერს უწევს 7 მ. 25 კ. კარდა ამისა ის მიდის და რამელსამე მუიდეგელს შირობით ეკვრება, რამდენ ფუთ ზარკს მიუტანს,

ს ა ზ ლ ვ ა რ ო ვ ა რ ე თ .

საზრდადგომი. როგორც მოგვსენებთ, დღეს საფრანგეთს მართავს რადიკალური სამინისტრო, ხოლო ამ სამინისტროში ფინანსთა მინისტრის პორტფელი უკავია მეტათ გამოქმნილ, დასჯელ-ვებულ ობორტიუნისტ რუიესს. წინაწინვე შეიძლება კაცს ეთქვას, რომ რუიესს მინისტრობა რადიკალებისათვის სასურველი არ იქნებოდა, რომ ის ეტყობოდა შეუფერხებელი რადიკალების მოქმედება. მართლაც ეს უთანხმოება შორს აღარ არის. ამას წინეთ რუიესს მითითება ზარდამენ-ტისაგან 173 მიღ. ფრანკის გადადება გასული წლის დეფიციტის დასაფარავათ. ამასთანავე მან გამოთქვა რამდენიმე საზოგადო მოსაზრება, რომელიც ეწინააღმდეგება რადიკალებთან მისწრაფებას. „კარგი ფინანსები თუ გვინდა გვექნება, ამისათვის ყოველ უწინარეს საფრანგეთი უნდა იყოს ძლიერი, საფრანგეთს ზატივის უნდა ცემ-დენ საზღვარ-გარეთ, ის არ უნდა უარყოფდეს თავის იმედებს და ამიტომაც უნდა იყოლიოს მძლავრი და დიდ რიცხვითი ჯარი. დე-ფიციტის გამო ჩვენ გვიმართებს დიდი სიფრთხილე და წინდასვლე-ლება. სეზონური, დაუფიქრებელი ფინანსური რეფორმები არ მო-გვიტანენ სიკეთეს. ზარდამენტი ვაღდებულა ერთდროს უგუნურ ხარ-ჯებს, იმედიდროს მეტადიურათ და ყოველ უწინარეს არ მინდო-მის ვეკლავფერის ერთთ განხორციელება“. შემარცხე ზარტიები ძალიან უკმაყოფილოა რუიესს განცხადებით, რადგან ამ მის განცხა-დებებში ნათლათ გამოხატულია რადიკალურ ზრდადგომის დაწინააღმდეგება. კომისის სამინისტროში საზღვარ მინისტრათ არის ცნობილი რადიკალ-სოციალისტი ზელტანა. ზელტანმა რუიესს სახსუსხათ ზარიზის ამ-რჩევლათ რადიკალურ კომიტეტის ბანკეტზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც გადაჭრით გამოაცხადა თავისი უთანხმოება რუიესს სი-ტუეებისადმი. ზელტანის აზრით, საჭიროა გაგრძობა ბრძოლისა რე-აქციონურ ზარტიებთან, რომელნიც ცდილობენ რესპუბლიკას ძირი გამოეთხარონ. მაგრამ მარტო ბრძოლა არაა საკმარისი. „ჩვენ უნდა განვახორციელოთ დემოკრატიული სოციალური რეფორმები, რომელთაც ითხოვს სამშობლო. უამისათ რესპუბლიკა კარგავს თავის არსებობის აზრს. მე ვიცი, რომ ზოგი ჩვენგანი უფიქრობს. რამდენიმე დღის წინეთ ერთმა ჩემმა ამხანაგმა (იკულისხმეთ რუ-იეს) განაცხადა ზარდამენტი: ჩვენ რეფორმის ზარტივისმცემელი შვილები ვართ, მაგრამ ჩვენ მამებს, რომელთაც მოახდინეს რეფორ-მული, რომ ეთქვათ: საჭიროა რეფორმების განხორციელება გადა-ვდგათ, სანამ დეფიციტს არ დაფარავთ და სანამ საფრანგეთი არ იქნება უზრუნველ ყოფილი გარემოდას თავდასხმისაგან, მაშინ საფრანგეთში დღემდისაც ფეოდალური წყობილება იქნებოდა გამე-ფებული. მე შეკითხებთან, ვიფარებ თუ არა მე მართველობის მო-ღვაწეობა. არაის ისეთი მართველობის მოღვაწეობა, რომელიც, რკი ჩაიგდებენ ხელში ადგილს, გადასდებენ ეველა იმის განხორ-ციელებას, რაც მათ დაგვიბრდენ. არაის მეორე ვარის მოღვაწეობიც, რომელიც, როცა მართველობაში შევლენ, იწვევენ იმის განხორ-ციელებას, რასაც ითხოვდენ, როცა ობოლიცაში იდგენ. მე ვეკუ-თვნი უკანასკნელ ჯგუფის მოღვაწეობს და გარწმუნებთ, რომ არც მე, არც ჩემი მეგობრები არ დავიფიქრებთ იმ დაზარებათ, რომელიც ჩვენ ქვეყნისთვის აღვითქვამს. თუ რესპუბლიკას არ ექნება მტკიცე რადიკალური ზრდადგომა, ის არ იქნება არც ძლიერი, არც დიდ-ბული და არც მკვიდრი“.

ზელტანმა კიდევ წარმოთქვა რუიესს ობორტიუნისტულ აზ-რების საწინააღმდეგო სიტყვა. ცნობილ რესპუბლიკანულ კენერალ გომსს გაუმართეს დღესასწაული ვერსალში. ზელტანმა ისარგებლა ამ მომენტით, რომ გამოეთქვა თავისი აზრი ჯარის დანიშნულების შესახებ. „რესპუბლიკელებო, თქვა მან, ზარტიები არაის და იქნებან. და ჯარის საქმე განუშორებლათ არის შეკავშირებული რე-სპუბლიკის საქმესთან. ჩვენ ომის წინააღმდეგნი ვართ, ომი ბარბა-როსობის დანარჩენია და იმედიც გვაქვს, რომ ოდესმე მისი ხსენება მოიხსნება, მარა დღეს შეუძლებელია მასზე საფრთხილად ხელის ალება: ჩვენ გარკვეულ ვახვევია სამხედრო მონარქიები და რესპუბლიკები,

რომელნიც დარწმუნებულნი არაის განდიდების სურვილით, და სწო-რეთ ჯარი საჭიროა არა მარტო ჩვენი მიწა-წყლის დასაცავათ, არამედ ჩვენი ერის ნიჭიერების, მისი განიხორციელების შესახებ. მე მდებ ზელტანმა განაცხადა: „ჩვენთვის საჭიროა ობორტიუნისტული რეფორმები, რომელნიც მხოლოდ თავის საქმეს ემსახურებან და რომელთაც საკმაო ესმით თავისი მოვალეობა, რომ თელი თავისი მოქმედება შესწირონ ქვეყნის დაცვას... ჩვენ ვითხოვთ მტკიცე დისციპლინას, რომელიც იმდენათ სასტიკათ უნდა იყოს დაცული, რამდენათ უფრო დიდი ალაგი უჭირავს ამ თუ იმ ზარს. გენერლებიც ჩვენ ისეთები გვინდა, რომელნიც თვითონ უჩვენებენ მხედრთ დისციპლინის მა-კალითს“.


ამ ნაირათ ცხადათ ვხვდავთ ორ შეუთანხმებელ მიმდინარეობას სამინისტროში. ერთი მხრით ობორტიუნისტული თვალთ-მაქცობა, მეორე მხრით გულანდილი სოციალური რეფორმებისაკენ მისწრაფება. საკვლავ, რომ დიდხანს გაძლონ ერთათ ამ ორმა მიმდინარეობამ. და თუ გასძლებენ, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ურთიერთ ბრძოლაში ორივე დაძაბუნდებან და დასუსტდებან.

— ამას წინეთ ზარიზში დასრულა კურსი საზოგადო ინჟე-ნერთა სასწავლებელში ზირველმა ქალმა; ეს ქალი რევეკა კო-ნეგსკისა, ის დაბადებულა ზოლტავის გუბერნიისაში, სდაც მიიღო დაწვებითი სწავლა, ზარიზში წასულა 1897 წ., ერთ წელიწადს ერს უგდებდა სარბონაში მათემატიკის ლექციებს, შემდეგ მშვე-ნიერათ დაიჭირა საკონკურსო ეგზამენი. კანეგსკის ქალი დღეს მხოლოდ 25 წლისაა. მისი სიტყვით, ქალებისათვის ძალიან ადვილია უმაღლესი ტექნიკური ცოდნის შეძენა. ახლა კანეგსკის ქალი მოდის რუსეთში, სდაც მას სურს დაიჭიროს ეგზამენი და შემდეგ ითხო-ვოს, რომ მიიღონ ინჟინერთა რომელიმე რკინის გზაზე.

ამერიკის რეპროდუქციული შობაბი. ამერიკა შემდგარია ორი მოზრდილი ხმელეთისაგან, რომელთაც აერთებს ვიწრო ზანამის ეელი. როგორც მოგვსენებთ, რამდენიმე წლის წინეთ ამ ეელის გასათხრელათ შემდგარი ამხანაგობა გაკოტრდა და საქმეც შეჩერდა. ახლა ჩრდილო, — ამერიკის რესპუბლიკამ გადაწვეიტა თვითონ გან-ხორციელოს ეს საქმე. კონგრესმა გადაწვეიტა — საჭიროა არხი გა-ითხაროს სწორეთ წინანდელეგ ადგილსო. ახლა ეს გადაწვეიტა იღებს რომ აღსრულდეს, საჭიროა მხოლოდ ზრეზიდენტის დამტკიცება.

იხანია. იხანიაში დღეს დიდი მოძრაობაა. ეს ქვეყანა სა-ოცრათ დაეცა ამ ბოლო დროს. მისი ბრწინვალე წარსული თან-დათან წვედიალით მოიგვა, ხოლო აწმეო მეტათ უნუგეშა. აულა-ტმეელი ზარბაზობა ბერების და კლერიკალების მეტათ მძიმე უღლათ აწვეს ქვეყანას. ამიტომაც ამ ბოლო დროს დაიწყო მძლავრი მოძრა-ობა. სხვათა შორის კლერიკალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა ყო-ფილმა მინისტრმა კანალესმა. ის დადის სხვა და სხვა ქალაქებში, ესწრება მიტინგებს, სდაც უხსნის ხალხს, თუ რა გამათხსინებუ-ლი გავლენა ქონდა და აქვს ქვეყანაზე კონსერვატორებს და მათ მეთა-ურ კლერიკალებს. სდაც კი განხდება ეს გამოჩენილი კაცი, ხალხი მას გამოუთქმული აღტაცებით და რაც იტობთ ეგებება მას. ხსენებული აგიტატორის ზარტივისმცემლათ გამართეს ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 2,700 კაცი. კანალესმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ბრალს სდებს ესლანდელ ღიბურალურ სამინისტროს კლერიკალებს ეფერებო. ბა-რსელანში რესპუბლიკანულათ გასეთები წინადადებას აძლევდა ხალხს — კარგათ დახვლით სტუმარსო. განზრახული ქონდათ დიდი მიტი-ნგი. თავის მხრით კლერიკალური ელემენტებიც ემზადებოდენ საწი-ნააღმდეგო მანიფესტაციისათვის. ხალხი იმდენათ აღელვებული იყო, რომ მიტინგი აღარ შემდგარა. კანალესსი მეორე დღესვე გავიდა ბა-რსელანიდან; მან გამოაქვეყნა წერილი ბარცელონის მცხოვრებთა მი-მართ, სდაც ამბობს — არ მინდოდა ჩემის აქ ყოფნით საბუთი მიმეცა მთავრობისათვის ხალხის შესაწირვლათ. მადრიდში კანალესს და-უხვდა ოცი ათასამდე კაცი, რომელნიც გაიძროდენ: „ძირს კლერი-კალიზმი“. მის კარტესს 200 კვიზაჟი მოყვებოდა.

— გამოვიდა მეორე გამოცემათ რომანი: „Noli me tangere“.



ამ რომანში აწერილია ბერთა ცხოვრება. მისი ავტორი რისალი ამ რომანისთვის კიდევ დახვრიტეს თავის დროზე. ფილიპინელმა ბერებმა, რომელნიც გამოეყენებინათ არიან ამ რომანში, იუდეუს მთელი გამოცემა და მისხეს. დარჩა მხოლოდ ერთი ეკსემპლარი, რომელიდანაც ახლა კადმოუბეჭდათ მეორე გამოცემა.

პოლანდია. ბერლინში ამსტერდამიდან მოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ ორანჟის რესპუბლიკის უფილიპინური ბრძოლისთვის, შტეინი, უნუგეპით ავითა. გასულ შაბათს ის ეზიარა, რადგან გრძნობს სიკვდილის მოახლოებას.

რუსეთის ცხოვრება.

ამას წინათ ბეტერბურგში დაიბეჭდა ე. დემენტიევის საინტერესო წიგნი. ამ წიგნში ამოღებულია ცნობები საქარნა ინსპექტორების ანგარიშებიდან ქარნებისა და მუშების შესახებ. 1900 წელს ეგრების რუსეთსა და ბაქას გუბერნიისაში საქარნა ინსპექტორებს უმარნობდა 17,977 დაწესებულება, სადაც მსახურებდა 1,666,167 მუშა. ქარნების საერთო რიცხვიდან სამი მეხუთედი წვრილი ქარნა იყო. თითო 16-დან 50-მდე მუშას შეიცავდა. ნახევარი წლის განმავლობაში ინსპექტორებს განუხილავთ 2,745 სახივარი ქარნების გამგებების მუშებზე. უმთავრესი მიზეზი სახივრების მუშების მიერ თავიანთ ნებით მუშაობაზე ხელის აღება იყო. მუშების სახივარი გამგებებზე იმავე წლის განმავლობაში იყო 9,863. აქედან 871 სახივარი კოლექტიური იყო. ჯარიმა, რომელიც მუშებს ხდებოდათ, ემატებოდა განსაკუთრებულ თანხას. ეს თანხა მუშების საჭიროებაზე იხარჯება. 1900 წლის პირველ იანვარში საჯარო თანხა უკვე ქარნაში ავიდა 2,408,802 მან. 4 კაპ. წლის ბოლოს 3,280,902 მ. აქედან წლის განმავლობაში დაიხარჯა 688,525 მ. 48 კ.

— მიწათ-მექმედების სამინისტრო სახელმწიფო საბჭოსთან თხოვლობს 100 ათას მანეთის გადაებას გაუმჯობესებულ თესვის გასაფრტელებლათ.

— აზრათა აქვთ ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიებში შემოდინდნ საერობო დაწესებულებანი. ამ საქმის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას უკვე შეუდგა სახელმწიფო საბჭოს ეკონომიისა და კანონების დეპარტამენტი. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება ამ კანონ-პროექტს განიხილავს შემოდგომის სესიის დროს.

— ბეტერბურგში დგება საზოგადოება, რომლის მიზანია დაეხმაროს ქარნებრივთ და ხეობრივთ მელოგინეთ, განსაკუთრებით ღარიბებს.

მ ვ ე ლ ი.

ცისმარე დღე უკაკუნებს,
თავს დაყურებს სულ ერთ საგანს,
კვერით რკინას, ცეცხლში ნაწრობს
ფორმას აძლევს,—სიგძეს და განს.
და რომ მიზანს მაიღწიოს
თავის ნაფიქრ-განზრახულებს,
უსულ-გულთ ციგ-ნახშირსა
ცეცხლს უკიდებს, ასულდგმულებს.
ვით ცხოველი რამ ზღაპრული,
მძიმეთ ქმინავს საბერველი,
გრდემლზე მარდათ მიმოცურავს
გამოცდილი მჭედლის ხელი.
სად მეტია, სად ნაკლები,
კარგათ ატყობს მისი თვალი,
აჭა, ერთიც შეასრულა,
გადააგლო განზე ნალი.
რომ გადაცდეს თავის ნაფიქრს,
ნუ იფიქრებ ნურასოდეს.—
კვერს იქ დაკრავს უქვევლათ,

სად საგანი მოითხოვდეს!..
და ზოგ-ზოგებს რომ მიუღიოთ
სხვის ნებაზე კალმის წვერი, **მარცხელი**
ამ ჩვენ მჭედელს დაეკითხონ **მელოგინე**
თუ სად უნდა დაკრან კვერი!
დ. თომაშვილი.

ც ი ვ ე ნ ი.

(მოთხ. ი. ფრანკოსი).

ძრიელი სოფელი ლასტოვკი მდებარეობს მდინარე სტრი-აზე იქ, სადაც ის ტურკას ქვემოთ, დიდ მოსახვევს იქით, იკლავება მთებსა და ტყეებში და მოუხვევს სინეგოდსკისაკენ. ამ პატარა მივარდნილი სოფლის გაფანტული, ბოიკების საცოდავი ქონმახები იმალება უდაბურ ტყეებში. სოფლის ქვემოთ, ტყის ბოლოს, რომელიც მდინარის ნაპირამდის მიდის, სტრიას თავს დაყურებს მაღალი კლდე; ციცაბო კედლით დაყრდნობილია ის მდინარის მოსახვევთან და მისი ხავსითა და გვირით ამწვანებული მწვერვალი მეფურათ დაყურებს მეზობელ მთებს. ზაფხულობით სტრია ალერსით უშხაპუნებს მის ძირს, შემოდგომაზე კი მრისხანეთ ღრიალებს და აქაფებულ ეროთიანათ ფარავს ვიწრო ბილიკს, რომელიც მიიკლავება კლდის ძირში მდინარის ნაპირას. ყოველ მხრივ ამართულია დაბურული ტყეებით დაფარული მთები; მხოლოდ აქა-იქ მათ მწვერვალებზე მოჩანან ტიტველა მინდვრები, რომლებიც შავ მიწაზე მომწვანო ლაქებივით გამოიყურებიან...

ხოლო სტრიის ზვირთები ღრიალებენ და იმსხვრევიან მწვეტიან ქვებზე.

გულის მომწყვლელ სევდასა გრძნობს პოლიციის დარაჯი, რომელიც საწვიმარ ჩაღრში გახვეული წვიმიან შემოდგომის დღეს მიდის მდინარის ზემოთ ბილიკზე მხარზე თოფ გადაკიდებული; ის ყურადღებით იცქირება იქით-აქით. ერთი სულიერი არსებაც არსადა სჩანს და მდინარის მახლობლათ გატყვნილი ბილიკი რომ არა ჩნდეს, ასე გეგონებოდა ამ უღრან ტყეში ქვეყნის გაჩენიდან ადამიანის ფეხი არ დადგმულაო.

— ფუ ამისთანა ძალღურ სამსახურს. ბუტბუტებდა დარაჯი და ცხვირსაბოცით იწმენდა უღვაშებს, რომლებიდანაც მოწვეთავდა წვიმის წყალი.—იფორთხე და იზორქყიალე გადანაცემივით ამ წყეულ ჯურღმულებში და სულ ამაოთ. ამ სასიზღარ ბოიკებს ეშმაკებზე უფრო ეშინიათ დარაჯების. ყოველი მათგანი ათას ნაბიჯზე მაინც შემოუვლის, თუ კი სადმე თვალი მოკრა. ასე გგონია ყოველ მათგანს ესეცა ან კი მოუპარავს რამე, ან მოუკლავს ვინმე. კიდევ რომ ჩაიგლო ხელში რომელიმე მათგანი, უფრო ადრე ამ კლდეს გამოკითხავ რასმეს, ვიდრე მას. აი, ეშმაკმა წაიღოს ეს საზიზღარი უტვინო ხალხი!

ასე ბუტბუტებდა დარაჯი, და თან თვალს არ აშორებდა სტრიას, რომელიც მრისხანეთ ახლიდა ქვეს თავის ზვირთებს, თითქო ისიც ჯავრობს ამ ველურ, უტვინო ბოიკებზეო.

— უჰ, რამოდენა წყალია. ბუტბუტებდა დარაჯი.—ნეტა მაინც ბილიკზე არ გადავიდოდეს და არ წაიღებდეს ბოგორს, თორემ დაღამებამდის ვერ მივაწევ იმ წყეულ ლასტოვკამდის, თუმცა აწი შორს კი არ არის. მე ამ მთებში სრულიათ ზრ მწყალობს ბედი. ეს მეოთხეჯერ მოვიარე ეს ჯურღმულები და ერთხელაც არ მარგუნა ბედმა ქურდისა ან ავაზაკის დაჭერა. მარტოდენ ერთი შეხედვით კი დარწმუნდები, რომ აქაურობა სავევა ქურდებითა და ავაზაკებით. ერთი ჩამოღლებილი მაწანწალა, ან ბებერი მათხოვარი მაინც დამეტუსალებია. თითქო პირი ქონდეთ შეკრული, თვალითაც არ დამენახონ. სხვა დარაჯები კი მუდამ მოერგებიან მაწანწალებს, მათხო-

ვარებს და ციგნებს, ერთიანათ ტენიან საპრობილეს. მე კი... ერთი მაინც მრგებოდა! ფუ, ამისთანა ბედს კი რა ვუთხრა!...

და დარაჯმა მრისხანეთ გაიხედა წინ. ის იდგა პირდაპირ კლდის წინ. აქ ბილიკი ცოტა აღმართში აღიოდა; ის ხან უახლოვდებოდა კედელივით ამართულ ციცაბოს, ხან ეშვებოდა ძირს და მიყვებოდა მდინარის პირს. დარაჯმა შორიდანვე დაინახა, რომ დაბლა ბილიკი დაფარული იყო მღვრიე აქაფებული წყლით.

— ერიპა, — გულმოსულმა დაიყვირა: — კიდევ დაბრკოლება! ახლა უნდა შემოუარო ამას და მთელი ნახევარი საათი ვიპორტუილო ბუჩქებსა და ნაპრალეებში, ამასობაში ხომ ლასტოვკაშიც ვიქნებოდი. აი, მეხი კი დაეცა ამისთანა წესებს!

დარაჯმა მოუხვია მარჯვნივ, რომ შემოეველო კლდისათვის. უცებ მან განზე მიიხედა და გაჩერდა. ამას მოეჩვენა, თითქო კლდიდან ამოდიოდა კვამლი, რომელიც, თითქო შეშინებულაო, თან და თან იბნეოდა ჰაერში. დარაჯი თავის თვალს არ უჯერებდა. მარა, როცა გაჩერდა და ყურადღებით დააკვირდა, მან დაინახა, რომ კლდის წვეტებიდან, თითქმის შუაგულიდან კვამლი ამოდიოდა. ვითომ შესაძლებელია? ჩვენი დარაჯი მხდალი არ ყოფილა, მარა იმასაც ტანში ჟრუანტელმა დაუარა; მან ვერას გზით ვერ მოიხარა, თუ რა უნდა ყოფილიყო ის, ბოლოს მან ფიქრს თავი გაანება.

— ალბათ შემის მქრელები გააჩაღებდენ ცეცხლს. შესაძლოა ქურდებიც იყვენ, შემის მქრელებს ან კი რა უნდათ აქ? წავიდე, ვნახო.

და მან დიდი გაჭირვებით იწყო პორტუილი სრიალა კლდეებზე აღმა, სადაც მათ ზემოთ გოლიათივით აყუდებულიყო ქვის კედელი. ერთხანს მან ვერაფერი ვერ გააჩნია. საღამომაც მოაწია; კლდის ჩრდილს ბნელი წყვედიანით მოეცვა სწორეთ ის ალაგი, საიდანაც ამოდიოდა კვამლი. ამოათ ცდილობდა დარაჯი დაენახა, ან გაეგონა რამ, მარა არაფერი არ ჩნდა, არც ისმოდა, გარდა ადიდებული წყლის ღრიალისა და შემოდგომური ტყის კენესისა.

— ეი, ვინა ხართ იქ? ხმა გამეცით! დაიყვირა დარაჯმა, ხოლო მისმა ყვირილმა ზანტათ გაიხმაურა კლდეებშუა და მობირდაპირე მთამ გაიმეორა მისი უკანასკნელი სიტყვა „მეცით!“ დარაჯმა გზა განაგრძო. პატარა დავაკებაზე ქვებშუა მან დაინახა დამტვრეული ფიჩხი, რისლაც ახალი ძეგლები და ნახევრათ დამპალი ჩვრები. „ადამიანის კვალია უეჭველათ!“ იფიქრა დარაჯმა, კარგათ დააკვირდა, და დაინახა ძლივს შესამჩნევი ბილიკი, რომელიც გველივით მიიკლაკნებოდა ქვებშუა და იმალებოდა გადმოკიდულ კლდის ჩრდილოში, სწორეთ იმ ადგილს, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. მიუახლოვდა თუ არა რამდენიმე ნაბიჯზე, მხოლოთ მაშინ შენიშნა კლდის კედელში ნახვრეტი, რომელზედაც მიდებული იყო თავწამწვარი ჯირკი, თვითონაც არ იცოდა, თუ რამ აუტოკა ასე უცებ გული. დარაჯმა თოფი ხელში მოიმარჯვა და ფეხაკრფით უახლოვდებოდა იმ ალაგს, თითქო უნდა შეუტიოსო. ბნელ გამოქვამულში სრული სიწყნარე იყო. დარაჯი გულში თავისთავს უჯავრდებოდა რომ ხმა მალლა ძახილით მან გაამეღანა თავისი მოახლოვება. ვინ იცის, შეიძლება მისი დაძახებით გაფრთხილებული მტერი თვალს ადევნებს ახლა მას საიმედო ალაგს ჩასაფრებული. ხოლო უკან დაბრუნება შესაძლებელია კიდევ უფრო საშიში ყოფილიყო და ამიტომ ის წავიდა წინ. ბოლოს ის ზედ მიადგა თვით გამოქვამულსაც. გასინჯა ხრმალი და ფალასკა და შემდეგ უცებ კრა წინლი ჯირკს და გადააგორა ის გამოქვამულის შესაულიდან. კვამლის ბოლქვები ეცა მას ცხვირპირში და ველარაფერი დაინახა. იგი დაიღუნა და შეიხედა გამოქვამულში, როცა კვამლი ცოტათი გაიფანტა, დარაჯს თვალწინ ასეთი სანახაობა წარმოუდგა: ნა-

ცრისფერი ქვის კედლები კუბოს სახურავივით იწრათ უერთდებოდენ ზემოდან ერთმანეთს. დაბლა, ქვის იატაკში, გამოქვამულის შუაგულ ამოღრუტული იყო ეჭვირვალური, რომში ოდნავ მხუტავ ცეცხლს წაფარებული ქირდე ქუეშინლათ მბოლავი ნახევრათ დამპალი ჯირკი. ცეცხლს გარეშემო რამდენიმე კაცი უჯდა, ბავშვები და მოზრდილები, რომელთაც ძლივს ფარავდა საშინლათ დაფლეთილი ქუქყიანი ძონძები. მათი პირისახის დანახვა დარაჯს არ შეეძლო, მან მხოლოთ შენიშნა, რომ რამდენიმე შავი დამფრთხალი თვალი შიშით მიაშტერდა მას.

— ვინა ხართ თქვენ! — მრისხანეთ დაუყვირა მან.

— ციგნები, ბატონო! — უპასუხა ვიღამაც უხეში, მაგრამ მშვიდი ხმით.

— მერე აქ რას აკეთებთ?

— ვცხოვრობთ, ბატონო!

დარაჯმა ძლივძლივობისას მიაწია გამოქვამულის შუაგულს და იქაურებს თვალიერება დაუწყო. ერთ კუთხეში პატარა ურემზე ეწყო სამქედლო იარაღები: საბერველი, გრდემლი და უროები, მეორეში — ცეცხლისათვის ხმელი ტოტების გროვა. გამოქვამულის შუაგულ, ცეცხლთან, გაშლილი იყო მთელი ოჯახის საწოლი — ქვებზე დაგდებულ ნახევრათ დამპალი ერთი კონა ჩალა და ხმელი ფოთლებისა და ხავსის გროვა. ხოლო ამ საწოლის ბოლოში, საპატო ალაგას, ეფინა გაუფხეკავი ცხენის ტყავი, რომელსაც ღამით იხურავდა მოხუცი.

— რამდენი ხართ თქვენ აქ? — ხელახლა მრისხანეთ დაეკითხა დარაჯი.

— ხუთი, ბატონო, ხუთი, — უპასუხა ერთმა ციგანმა და ფეხზე წამოუდგა. სიცივისაგან საწყალი მთლათ კანკალებდა. დანარჩენებიც წამოდგენ. მოხუც ციგანს გარდა აქ კიდევ იყო ქალი, ახალგაზდა ბიჭი და ორი პატარა სრულიად ტიტვლიკანა ბავში. სიცივისაგან ყველანი დალურჯებული იყვენ და სხეულიც თითქო დასივებული-დაბერილი ქონდათ, ალბათ სიმშილისაგან.

— რით ცხოვრობთ თქვენ აქ, მაწანწალებო! — განაგრძო დარაჯმა გამოკითხვა.

— ღვთის წყალობით, ბატონო, ღვთის წყალობით. აი ამას წინათ ცხენი მოგვიკვდა და ჩვენ ხორციც გვქონდა.

— დიდი ხანია აქა ხართ?

— ორი კვირა, ბატონო!

ვინ იცის, თუ რისთვის აჯავრებდა დარაჯს ეს მოხუცის მეტად მორჩილი სიტყვები. ამ მტირალ ხმასა და ყოველ წამს გამეორებულ „ბატონო“-ში დარაჯი თავისი უფლების ფარულ დაცინვას ხედავდა.

— ხშირათ ქურდობთ თქვენ სოფლებში?

— არა, ბატონო, ჩვენ არაფერს არ ვიპარავთ. ციგანი პაიკუში არ იპარავს! ციგანი პაიკუში, სანამ შეუძლია, თავისი მარჯვენით ცხოვრობს. ხოლო ახლა, როცა ცხენი მოგვიკვდა, ჩვენ არ შეგვიძლია ადგილიდან დაძვრა. მეტი გზა არაა, სანამ გამოიღარებს, აქ უნდა ვისხდეთ.

— სანამ მეორე ცხენს არ მოიპარავთ! — დასცინოდა დარაჯი. — აბა მოემზადეთ, უკან უნდა გამომყვეთ.

— სად, ბატონო? — აკანკალებული ხმით კითხა უფროსმა ციგანმა.

— ნუ კითხულობ! მოემზადე შენი საზიზღარი მოდგმით და მონაგარით და წამოდი სოფელში. იქ კი ვნახავთ, თუ რაც უნდა გიყოთ თქვენ.

მოხუცი ციგანი გაქვავებულივით იდგა, დედაკაცი კი ჩაუყარდა დარაჯს ფეხ ქვეშ და მორთო ღრიალი, თითქო დაკვლას უპირებენო.

— ბატონო, ბატონო! დაგენაცვლეთ! რა დაგიშავა პაი-

კუშმა, რა დაგიშავებთ საწყალმა ციგნებმა, რომ ამ სიცივეში გარეთ გაყრას გვიპირებ? აბა შეხედე, ჩემი ბავშვები სრულიად ტიტვლებია, ჩვენაც ვერ ავიტანთ ამისთანა სიცივეს. შეგვიწყალე, ბატონო, შეგვიბრალე, ნურსა გაგვრეკავ! დეე საწყალმა ციგნებმა იცხოვრონ კიდე ქვეყანაზე!

— აღარ დაჩუმდები, შე, შე ყვავის საფრთხობელავ! — დაუღრიალა დარაჯმა და მუჯლუგუნე ჰკრა მოხუც ციგან ქალს. — ახლავ მოემზადეთ ყველანი!

მთელი ოჯახი დიდიან-პატარაინა ტირილითა და ბლავილით ჩაუცივდნენ დარაჯს ფეხებქვეშ და ევედრებოდნენ დაეტოვებია მას ისინი ამ ქვის ქოხში. თავათ დარაჯიც დაფიქრდა, თუ რა უნდა ყქნა. სოფელი შორსაა, გზა ცუდია და უდაბური, ღამდება კიდევ, მთელი ამ ხროვის სოფელში მიყვანა მარტო მას ძალიან გაუჭირდება. და მან გამოიცვალა თავისი განზრახვა.

— რა გალრიალებთ, თქვე ბრიყვებო? ნუ გეშინიათ, მე თქვენ ცოცხლათ ხომ არ ჩაგყლაპავთ. ასე იყოს, დარჩით აქ. ხოლო ყური მიგდე, მოხუცო, სანამ მე არ დავბრუნდები, ფეხს გადგმა არ გაბედოთ აქედან!

მოხუცი ციგანი გაშეშებული იდგა. ის გაკვირვებული, შეშინებული თვალებით უყურებდა დარაჯს და მის სიტყვებში წინასწარ გრძნობდა რაღაც ახალ უბედურებას.

— ჰა, რაღა შემოგვიყვები ჩემზე ეგ ბრუტიანი თვალები? დაუყვირა დარაჯმა. გესმის, თუ არა? ღმერთი არ გაგიწყრეთ, ფეხი არ გაადგათ აქედან, სანამ აქეთობისას მე არ შემოვივლი, თვარა ვაი თქვენი ტყავის ბრალი!

— კარგი, ბატონო, კარგი! დარაჯმა ერთხელ კიდევ აათვალა იერა გამოქვამული, ზიზლით გააფურთხა და გამოვიდა.

— წყეული მაწანწალები! — ბუტბუტებდა ის და გაჭირვებით ჩამოდიოდა კლდიდან. — არ უყურებთ, სად შემძვრალან! მარა მე მაინც ვიპოვე ისინი. ახლა კი მაინც არ ამცდება რამე საჩუქარი.

ნარ — ინი.

(შემდეგი იქნება)

მცირე შენიშვნა.

ბ-ნმა ომ-მა, ჩვეულებისამებრ, არ უღალატა თავის თავს: გაზ. „С.-П. В.“-ების № 159-ში დაბეჭდილია მეორე მისი წერილი ქართველების შესახებ. თუ პირველ მის წერილში ქართველი ხალხი „ბეჩაფი, მოშიშარი, მხდალი და სრული უმეცარი“ იყო, მეორე წერილში სამაგიეროთ იგივე ხალხი „შვენიერი, სიმპატიური ერაა“, რომელსაც ბადალი მეორეც არა ყავს დედამიწის ზურგზე; მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ბ-ნ ომის შეხედულებით, იშვიათათ მოიპოვება ისეთი შვენიერი ხმოვანი და მუზიკალური“ ენა, როგორიც არის ქართული ენაო. მაგრამ, ცნობილია, რომ ენას ხომ ვერ მოხრავ, მეტადრე ჩვენი მოძღვრების მიმდევარნი, თუ მას სხვა რამე არ ახლავს. და აი ბ-ნ ომის სიტყვებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ „ამ შვენიერ ქართულ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს მრავალრიცხოვანია ერი, არსებობს ისეთი მდიდარი ლიტერატურა და განსაკუთრებით ბეჭეტრისტიკა, რომლის მსგავსი დემონმა ვეგვას სხვა ენს მიცეს“. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). მოდი და აბა ამას შემდეგ თქვი, ბ. ომი არ ამბობს სრულ ჭეშმარიტებასო! კარგი იყო მხოლოდ გვეცოდნოდა, თუ რომელი ერის ლიტერატურას ადარებს ეს ახირებული ვაჟბატონი ქართულ ლიტერატურას, ან რომელ ერს უსურვებს ისეთ „მდიდარ ლიტერატურას“, როგორიც ქართველების ლიტერატურაა! თორემ ასე ყრუ მსჯელობამ ჩვენ ძლიერ დაგვაეჭვიანა. ან და ერთი კაცმა თქვას, როგორ შეიძლება, რომ ველურ, მოში-

შარ და მხდალ ხალხს ისეთი მდიდარი ლიტერატურა შეეძლოს, რომელსაც ყველა ერი შენატრიდეს? არა, აქ რაღაც უხერხული და უადგილო ოინბაზობა ან და სრული გასტყობაა, მაგრამ უფრო კი ოინბაზობა. სხვათა შორის მცოდნეებიც არ არიან, რომ „თანამედროვე ახალგაზდა ქართველებს შორის არც კი მოიპოვება ისეთი პირი, რომელმაც კარგათ იცოდეს სამშობლო ენაო“. აი ასეთია ამ ვაჟბატონის მიერ ნაქები „სიმპატიური ქართველი ერი“, რომელმაც ასეთი „მდიდარი ლიტერატურა“ შექმნაო! ასეთი აშკარა წინააღმდეგობის ერთ თავში მოთავსების მაგალითი ჩვენ მეორეც არ ვიცით. სამაგიეროთ ბ. ომი თავზე გვისვამს ხელს, და ამით სურს გააბათილოს თავისი ყოველად უეცი მსჯელობა. თუ თანამედროვე ქართველ ახალგაზდობამ არ იცის სამშობლო ენა, ეს იმის ბრალია, რომ სკოლებში ქართულ ენას და ლიტერატურას არ ასწავლიანო. ძლიერ მაღლობელი ვართ, ბ-ნო ომო, ასეთი გაცვეთილი სიტყვების წარმოთქმისათვის! ქუთაისის ბუღვარი არ დაივიწყებს თქვენ ამავს! მაგრამ ერთი აგვისსენით, რას ნიშნავს თქვენი სიტყვები: ის გარემოება, რომ „ადგილობრივ საშუალო სასწავლებელში ქართულ ენას და ლიტერატურას არ ასწავლიან, ეს რაღაც უბრალო შეცდომაა, გაუკვებლობა“ (недосмотръ)? განა აქ, ამ სიტყვებში, სიყალბე არ იფარება? არა ვგვგონია, რომ სინამდვილის ასე გადაფუჩჩებამ და სიმართლის დაფარვამ ვისმეს რამე უშველოს. მაგრამ თქვენი დანიშნულება ხომ ეს არის.

მოსაუბრე.

პაწია კაზაკვიჩი და მისი ამხანაგები.

24 და 25 ივნისს თფილისის ოლქის სსსმართლმ კაზაკია მცირე წლოვან ქურდ-ბაცაცთა „ბრბო“ საქმე. დამნაშავეთა სკამზე იჯდა 15 კაცი, რომელთაც თორმეტი მცირე-წლოვანია (12—17 წლისა). ეს ბაღლები იუვენ პრეტსის უმთავრესი მომჩივეი ბირები, ხოლო მათი სული და გული, საბრალ-მდებელი ოქმით, ზაწია კაზაკვიჩი. ამ ბავშვებს ბრალდებდათ მრავალი წვრილმანი ქურდობის ჩადენა, რისთვისაც წინათვე შეუდგენიათ ბრბო (шайка), რომელსაც ბინა ქანდა ბრალდებულ ხაჩიკოვისას, ხოლო ნაქურდალის გაუიდეგ-გასადებაში ხელს უწყობდენ ქერიმ ფატალი და ბარსუდაროვი. უდიდესი ფასი მათი ნაქურდალი ნივთისა არის 50 მანათი, უმრავლეს შემთხვევაში კი მთავრულია რამდენიმე მანათის სადირალი, რომელსაც ნამდვილი დირებულების მუათეში უიდეგ ქერიმს, ბარსუდაროვს თუ სხვა მისთანებს. მაგალითათ, სამს თუ ოთხ ბაცაცს მოუპარავთ მადერის ზავადში სპილენძის კრანი და ბოთლების პრებუები, თავის დასაცმელი მანქანა და მიუყვითათ ქერიმისთვის 90 კაზ. აქედან ამხანაგებს მიუტიათ ბასისტოვისთვის 10 კ. და ცირკის ბაღეთი, და თავადი (!) ვანხაძისთვის 5 კაზ. აი ასეთია მათი დანაშაულობის ხასიათი. თვით ამ ბაცაცების დასასწავლათ თუ რა წრიდან არიან ისინი, მიუხედავთ იმისა, რომ ერთი თავადის წოდებას ატარებს, მეორე მათგანის შვილია, მესამე მუქანინი, სკამარისა მოვიყვანათ კიდეც ერთი მაგალითი მათი „ავატობისა“: 1900 წ. 9 ნოემბერს შაღვიკო აფთიშვილი გამოსულა თავისი ფურნიდან რამდენიმე წამით. ამ დროს მის ფურნეში შესულა სამი ბიჭი და ღია ყუთიდან ამოუღიათ 8 მანეთამდე ვერცხლისა და სპილენძის ფული. დაბრუნებისას შეუმჩნევა ისინი აფთიშვილს და ერთი მათგანი დაუჭერა კიდეც, რომელიც გამოდგა დიმიტრი ავდობინი. ქურდობის მონაწილეებთ უკანასკნელმა დასასხელა ვანო და ვასო, რომელნიც უკვე მიიშაღენ. აშკარა რომ მთელი ეს ეგრეთ წოდებული ბრბო შედგება იმ ბატარა ადამიანთგან, რომელთაც ჩვენ ქუჩის ბიჭებს ვუწოდებთ, რომელნიც უპატრონოთ ერან ქუჩაში დიდიდან სავამოდე, სშირათ მშიერი და შეიძლება დამის თავშესაფარსაც მოკვებულნი, თუ ვინმე ხაჩიკოვი ან ბარსუდაროვი არ გამოუჩნდათ. მაგრამ ეს ხაჩიკოვი რა მოვალეა ისინი შეინახოს და უპატრონოს?

რისთვის შეიწუხებს თავს, (როცა თვითონაც მუდმივ შიშში უნდა იყოს თავის საკუთრების შესახებაც), თუ მათგან რაიმე არ მიიღებს და არ ჩამოიშლება. მერე საიდან და რა უნდა მიტყნას სეთ ზატოვის-მტკამელს ბავშვებმა, როცა თვით არაფერი ახადიათ? და აი აქედან იწყება მათი ბორცტ-მომქმედება. თავდაპირველათ ისინი იწყებენ ქუჩიდან, შემდეგ შედიან ღია კარებში და იბრუნენ კაღებებს, ხალტოებს, ტყუენ სარკიებს და მიერეკებინან ინდაურებს და ასე, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ხელფანდებიან, თამამდებიან და ბოლოს დაკეტილ ღუქანსა და სახლსაც ტყუენ. ასეთია მათი ისტორია, ხოლო დიდი უმრავლესობა მათგან ბოლოს წამოიკუზდება დამნაშავის სკამზე და იქიდან საპრობილეში. საზოგადოებისათვის დიდი უბედურებაა ასეთი წევრების გამრავლება, იგი ცდილობს მათი თავიდან მოშორებას რადგან ისინი ნაკლებათ სტუმრენ ზატოვს კერძო საკუთრებას, რომელსაც აკებულა მთელი თანამედროვე წესწობილება. მართლაც თანამედროვე ბირობებში მათი ატანა შეუძლებელია და ამიტომაც თხოულობს სახელმწიფოს წარმომადგენელი (ზრგოურრორი) ამ „ბორცტ-მომქმედებას“ სამკალთით დასჯას. მაგრამ ვინ მიიუყანა ისინი დამნაშავის სკამამდე? საიდან გახდენ ეს ზატოვს არსებანი ბორცტ-მომქმედები? ვინ დააყენა ესენი ამ გზაზე და ვინა ცოდვის მსხვერ ზლი არიან? აი კითხვა, რომელიც უნდა წარმოუდგეს საზოგადოებას-როცა ის ამას და ასეთ ბორცტს უნდა და ეცნობს. საზოგადოება მოვალეა ჩუკვირდეს ამ მოვლენას და, რამდენათაც შესაძლებელია თანამედროვე ბირობებში, შეამციროს ის მსხვერზლი, რომელსაც გამომჩინილი სტატისტიკოსის კეტლეს სიტყვით კაცობრიობა სწირავს წლიდან წლამდე დანაშაულს და ბორცტ-მომქმედებას. მართლაც, არის მეცნიერებაში იმ აზრის მომხრე მიმართულება, რომ დამნაშავე ადამიანი არის ატავისტური, განუყოფარებული ტიპი, რომელიც ვერ შეგუება თანამედროვე წესწობილებას; ამიტომ ის უნდა მოიგლიჯოს საზოგადოებამ, როგორც ხორცმეტი და ამისთვის არ უნდა შეჩერდეს თვით სიკვდილით დასჯის წინა. ეს შკოლა (ფომბროსო გაროფალსი) თავის აზრს ამყარებს ანთროპოლოგიურ გამოკვლევებს: მან აღმოაჩინა დამნაშავე ადამიანის ტიპიც, რომელსაც განსაკუთრებული ანატომიური ნიშნებიც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შკოლამ დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას ამ მხარეზე ურადლების მიქცევით, თვით მისი წარმომადგენელთა გამოკვლევებმა „ბორცტ-მომქმედება“ შორის მხოლოდ 25% აღმოაჩინა ამ „დამნაშავე ტიპის“ ადამიანი, დანარჩენი 75% კი ისეთივე სადი აკებულეებისა, როგორც ჩვენ, მკითხველც. გარდა ამისა თვით იმ 25%-შიაც ბევრი, აშკარაა, დანაშაულობადინ მხოლოდ ცხოვრების ბირობებში მიიუყანა, ასე რომ თვით დანაშაულისათვის დანაშაულის ჩამდენი ადამიანი, ე. ი. ბუნებით დამნაშავე იშვიათი მოვლენაა, გამოკლება, თანამედროვე ადამიანის ტიპში.

დღეს, საზოგადოთ, მიღებულია უკვდავი რობერტ ოუენის აზრი, „რომ უკვდა დანაშაულის მიზეზი მარტო მარტო*) თანამედროვე საზოგადოებრივი წესწობილების უფარვისობაა; რომ მხოლოდ საზოგადოებრივი წესწობილების რეფორმას შეუძლია მისხმოს ბორცტ-მომქმედება“.**) აქედან ოუენი იმ დასკვნამდინ მიდის, რომ დამნაშავის დასჯა სრულიად უსამართლო და უმიზნია. მისი აზრით: „ამ რეფორმის მოხდენა შესაძლებელია და უნდა მოხდეს კიდევ. თანამედროვე წესწობილება უნდა აღიკავოს და წარინიცოს დედა-მიწის ბირიდან და მის ადგას უნდა დამყარდეს იდეალური წესობილება. სასჯელი არის მხოლოდ უსამართლო ძალადობა, რომელიც იმას იცავს, რაც სრულიად არ უნდა არსებობდეს“ ამ რადიკალურ აზრს თანამედროვე მეცნიერება, რასაკვირველია, ვერ დათანხმება, ნამეტურ ოფიციალური, მაგრამ დანაშაული რომ სოციალური მოვლენაა, ამას ვერაფერ უარყოფს. ამის დასამტკიცებლათ სკამარსია მხოლოდ ის მოვიგონოთ, რომ შიშობილობის დროს დანაშაულის

რიცხვიც ბევრით მატულობს, რომ დანაშაულის რაოდენობა (როცა ცნობილია ადებული) ისევე იცვლება, როგორც შურის ფასი, ვინაა დანაშაულის მიხედვით ის საზოგადო და უცილობელი მოვლენაა, რომ სხვა დასაშაულთა შორის მატულობს კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვი კლებულობს ბირადობის წინააღმდეგ მიმართულისა. ეს მოვლენა მხოლოდ იმით ახსნება, რომ ადამიანი ერთი მხრით უფრო ჭუმანიური ხდება, ხოლო მეორე მხრით სოციალური წესობილების გამო გაჭირვებაც მატულობს, და თავისი არსებობის დაცვისათვის ბრძოლაში ადამიანი არ ჩერდება სხვის უფლებათა შელახვის წინა. თვით ოუენის მოწინააღმდეგე ბ. სერკვევსკიც ამბობს, რომ „დანაშაულის ნამდვილი წყარო (მიზეზი) არის კერძო ინტერესებისა და მოთხოვნილებათა საზოგადოებრივი შეტაკება“ (იქვე). და ამზე ჩვენც შეგვიძლია დავეთანხმეთ, რადგან სწორეთ ამ შიშა სოციალურ მოვლენათა ხსენებით, მაგრამ როცა „საზოგადო ინტერესები“ ისეთ ბირობებში აყენებენ ადამიანს, რომ იგი იძულებულია ლეკვას შურის მისახებად დანაშაულს მიმართოს, ამისთანა „ინტერესები“ ვეღარ ვიულობენ საზოგადოების შემადგენელ ადამიანებში თანაგრძობას და დანაშაულის რიცხვიც მატულობს, რასაკვირველია. აი, ამ „საზოგადო ინტერესების“ მსხვერზლია ჩვენი წერილის სავნათ გამხდარი ზატოვს კაცობრივი და მისი ამხანაგები. ეს „ინტერესები“ გვაძლევენ ნებას გულგრილათ ვუცქიროთ ქუჩაში უსაქმთ მხეტიალე ბავშვებს, და მერე თვითვე ბირველი მოვუწოდებთ ყარაულს მათ ხოლიციაში და ბრალმდებელთან გასარეკათ, თუ ჩვენი გარრიდობიდან კაღებში ან ხალტო კაცობრეს!

შეიძლება იმავე ბურჟუაზიული მეცნიერების გაყენის ქვეშ ვიყოთ ჩვენც, მაგრამ თანამედროვე ბირობებში ვერც ჩვენ მივევებით ოუენის აზრს სასჯელის სრულ უარყოფაში. ჩვენც ვიფიქრობთ, რომ სასჯელი ვერ შეცვლის ცხოვრების ბირობებს, ბირაქით ეს ბირობები უნდა შეიცვალოს იმდენათ, რომ სასჯელი არ იყოს საჭირო, მაგრამ ყოველი საზოგადოება განსახდურულ დროს და ადგილზე ცხოვრებს და ყოველივე ამით ემორჩილება. ამიტომ თუშტა უწმინდეს მისწრაფებათ ოუენის რეფორმა უნდა გვაქნდეს ყოველთვის, მაგრამ დამნაშავეთა ხელუხლებლათ დატოვება, რასაკვირველია, შეუძლებელია. ამიტომ თანამედროვე მეცნიერება, არა რადიკალური, როგორც ზევითაც ვთქვით, სასჯელს არ უარყოფს, მხოლოდ მასში ის ხედავს ადამიანის გამასწორებელ საშალებას, და მხოლოდ ისეთ სასჯელს ცნობს, რომელსაც ეს გასწორება შეუძლია. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს საკუთრივ იურიდიულ კითხვებზე შეჩერება. ეს წერილი გამოწვეულია მხოლოდ იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მივიღე ჩვენი ყოველდღიური გაზეთების მიერ კადმეტრული უშიხნასრო ანგარიშებიდან უმთავრესათ, და ამიტომ იძულებული ვარ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შეჩერდე ამ კითხვაზე. მიუხედავად მეცნიერების ასეთი კატეგორიული მოთხოვნილებიდან, თანამედროვე საზოგადოებაში სასჯელს მხოლოდ სასჯელის, ტანჯვის და თავმოყვარეობის შემლახველი ხასიათი აქვს. თუ რამდენათ დაცვილებულია თავის დახიშნულებას დღევანდელი სასჯელი, ამას ის მოვლენაც მოწმობს, რომ დამნაშავეთა 40% სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ დანაშაულს ჩადის ხოლმე და საპრობილეუს უბრუნდება. ან კი რით უნდა გასწორდეს ადამიანი, როცა ის საპრობილედან გამოხვლის შემდეგ კიდევ უარეს ბირობებში ვარდება, რადგან მას ყოველივე სხვა უბედურობის გარდა სახელიც გატყუილი აქვს, ზატოვი ახლი, როგორც დამნაშავეს და დასჯილს. მართლაც, არის ისეთი დაწესებულებებიც, რომელთა უმთავრესი დახიშნულება ამ დასჯილთა ხელის შეწობა და დახმარებაა. მაგრამ ეს ჩვენითვის შორე მომავალში საცნებო რამ არის. ვერ ვუბრობთ მხოლოდ ცდა და არა რაღაცური დახმარება. არის მეცნიერულკონსტრუქციის „გამასწორებელი კოლბიები და თავშესაფარები“, მაგრამ მათი რიცხვი იმდენათ მეცირება, რომ მათი შემწობით ბევრის გაგეთება არ შეიძლება. თვით 25 ივნისის განჩენიდანაც შეგვიძლია ამში დავრწმუნდეთ:

*) სხვეის აზრით უმთავრესათ.
 **) ციტატა მოგვყავს სერგეევსკის „Рус. Угл. Право“-დან.

ექვს მატარა ბატონი სსსმართლმ მიუსჯა გამსწორებელ კოლე-
ნიაში გადაცემა და შემდეგ დასძინს: ხოლო იმ შემთხვევაში თუ ად-
გილი არ იქნება კოლენიაში, მაშინ ისინი საზღვრებიდან უნდა
ჩასვან ზოგი 1 1/2 თვით. რის შემდეგ შეუძლიათ ამ ბაღებს ს-
ზღვრებიდან და რა უნდა მიეცეს მათ უკანასკნელმა, თუ ბედმა იქ
მიიყვანა ისინი? კარგის არაფერის. ჩვენი საზღვრებიდან ჯერ კიდევ
ძალიან უხვადღებდნენ იმ ტიპს, რომელთაც ბორცტმექმედების საუ-
კეთესო შკოლას ეძახიან. აი, ასეთია ჩვენი მზრუნველობა ამ მატარა
და სხვა დიდ უბედურადამიანებზე, მიუხედავად იმისა, რომ თვით
საუკეთესოთ მწიფობილი საზღვრებიდან და კოლენია მხლეთ მადი-
ტივია და მათთვის საჭირო ხარჯიც ძლიერ მცირე მსხვერპლს
ითხოვს იმათგან, ვის ინტერესებსაც ეთანხმება ბროფ. სერგეევსკის
„საზოგადო ინტერესები“. ძირითადი სხვა მხლეთ ცხოვრების
პირობების შეცვლაშია. მხლეთ მაშინ არ გვექნება შემთხვევა
ასეთი გულ შემზარავი სურათის ნახვისა, როგორც წარმა-
ადგენს თორმეტი მცირე წლოვანი დამნაშავე ერთს სკამზე
ჩამომსხდარი. რომ სსსმართლმ დაზარადა არა უფთილიყო და
გვერდით თოფიანი დანაჯები, ზარველ დანახვასე შკოლის ოთახი
გვეგონებოდათ, სანც ისე წუნარათ ისდენ ეს „ბორცტმექმედი“,
რომელნიც ჩვენი დაუდევრების და საზოგადო პირობების მსხვერპლს
წარმოადგენენ და არა დამნაშავეთ. საჭიროა ამ „ქუჩის ბიჭებსე“
მეტი ზრუნვა, და მათი რიგის პირობებში ჩაეყება. სხვა არა იყოს
რა, ამას მოითხოვს ჩვენი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა და
ის მოსაზრება, რომ მადრებს მშვიდობას არ ურდევადეს ასეთი
სურათის დანახვა. ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლია თვით ქადა-
ქსაც, რომელსაც სამწუნარათ მივიწვებული აქვს თავისი მოვალეობა.
საჭიროა თავიდანვე ავცილეთ ჩვენი გაჭირვებულ მოძმეთა შეილება ამ
ბატონობის გზას, თორემ რამდენი კანაკეინიც არ უნდა გაგზავნოთ
საზღვრებიდან ან კოლენიაში, მის ადგილს სხვა მოვა და სხვა და-
გვირდევს მშვიდობას; სხვა ახლათ ინტერესები შეეჯახებიან საზო-
გადობისას და კვლავ ხშირათ დაინახავთ ბაღებს შკოლის ნაცვლათ
დამნაშავეთა სკამზე და შემდეგ საზღვრებიდან...

6. ელიავა.

ადამიანის უჩინარი მტრები.

IV.

საზრდოობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველი
ცხოველისას, განვითარების რა საფეხურზედაც უნდა იყოს
ის. საზრდოობს ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც შესდგება
უჯრედების მთელი მილიონებისაგან; საზრდოობს ისეთი არ-
სებაც, რომლის ტანი მარტო ერთ უჯრედს წარმოადგენს.
ყოველი ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველი თავისი სა-
ზრდოობისათვის გარეშე ბუნებას ართმევს საჭირო ნივთი-
ერებათ,—მაგრამ თვითონაც აძლევს ამ ბუნებას სხვა და სხვა
ნივთიერებას, რომლებიც მისთვის უსარგებლონი არიან, მა-
გალითათ: შარდს, ოფლს, ნახშირ მჟავე გაზს (CO₂) და სხვ.
ამგვართვე იქცევა ყველა ერთ უჯრედიანი არსებაც, მათ
შორის ბაქტერიაც; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ხერ-
ხემლიანი ცხოველის ტანში სიცოცხლის რთული პროცესი
უჯრედების სხვა და სხვა გროვაშია განაწილებული, ბაქტე-
რიაში კი მთელი პროცესი მხოლოდ ერთ უჯრედში წარმო-
ებს. როგორც ყველა სხვა ცხოველი, ბაქტერიაც აძლევს გა-
რეშე ბუნებას სხვა და სხვა ნივთიერებათ. სხვა და სხვა გა-
დამდებ სნეულებათა შესწავლამ გამოარკვია, რომ ეს ნივთი-
ერებანი ადამიანის ტანისათვის ხშირათ ძალიან მავნებელი
არიან, განსაკუთრებით თავისტივინისათვის. ამის გამო მეცნი-
ერება დიდი ყურადღებით იკვლევდა და იკვლევს ამ ნივთი-
ერებათ. მრავალი დაკვირვებითა და ცდით უკვე დამტკიცე-
ბულია, რომ ადამიანის ორგანიზმში სნეულებას იმდენათ ბა-
ქტერიები არ აჩენენ, რამდენათაც ის ნივთიერებანი, რომელ-

ბიც მათ ტანში მზადდება. ყველა ის ნივთიერებანი, რომელ-
ბიც ბაქტერიის ტანში მზადდება, შეგვიძლია, სამ ნაწილათ და-
ვყოთ. პირველ ნაწილს შეადგენენ ისეთი ნივთიერებანი, რომ-
ლებიც ბაქტერიის საზრდოობისათვის საჭირონი არიან; მათ
შემწეობით, როგორც უკვე მოვისხენით, ბაქტერია აღნობს
სხვა-და-სხვა მაგარ საქმელს. მეორე ნაწილს შეადგენენ ისეთი
ნივთიერებანი, რომლებიც ბაქტერიისათვის სრულიათ უსარ-
გებლონი არიან. მესამე ნაწილს კი ისეთი ნივთიერებანი, რომ-
ლებითაც ბაქტერია თავის არსებობას იცავს. უკანასკნელი ნი-
ვთიერებანი ძლიერ მზამს წარმოადგენენ; სხვა-და-სხვა სნეუ-
ლებას უმთავრესათ ეს უკანასკნელი ნივთიერებანი აჩენენ ადა-
მიანის ტანში; ესენივე ისტუმრებენ ადამიანს საიქაოს. მოაკე-
ლით ბაქტერიას ეს მზამი და მაშინ ის ადამიანისათვის იმდენ-
ნათ საშიში აღარ იქნება. ამ ნივთიერებათ მეცნიერებაში ეწო-
დება ტოქსინები, ე. ი. მზამი. გადამდებ სნეულებათ მხოლოდ
ეს ტოქსინები აჩენენ. პირველი ორი რიგის ნივთიერებანი კი
ცოცხალი ადამიანისათვის თითქმის უვნებელი არიან, მკვდარ-
ში კი იწვევენ სხვა-და-სხვა დუღილს, ხრწნას და ლზობას. ამის
გამო ექიმები უფრო მეტი ყურადღებით ამ ტოქსინებს იკვ-
ლევენ და ჩვენც უფრო მას მივაქცევთ მკითხველის ყურადღე-
ბას. თუმცა მეცნიერება დიდი ხანია იკვლევს ამ ტოქსინების
ქიმიურ შედგენილებას, მაგრამ ეს კითხვა ჯერ არ არის რი-
გიანი სისრულით გამოარკვეული. დღემდის მეცნიერებამ დაა-
დგინა შემდეგი: ზოგი ტოქსინები ცილეულ ნივთიერებას წა-
რმოადგენენ და, როგორც ყოველგვარი ცილეული, შეიცა-
ვენ ნახშირბადს, წყალბადს, აზოტს, გოგირდს და სხვ. ზოგი
ტოქსინი კი აზოტთან ნივთიერებას წარმოადგენს. ცილეულ
ტოქსინებს უწოდებენ ტოქსალბუმინებს, მეორე გვარ ტოქსი-
ნებს კი პტომაინებს; პტომაინების მზამი ძალიან სუსტია; მა-
თი უმთავრესი თვისება დაიჩიკებაა. ტოქსალბუმინები კი
ძლიერ მზამს წარმოადგენენ და ადამიანს უმთავრესათ ისინი
უსპობენ სიცოცხლეს. ბევრმა მეცნიერმა, მათ შორის რუმ,
ფრენკელმა და სხვ. დიდი ხანია გამოაცალკევს და შეისწავ-
ლეს ზოგიერთი ტოქსალბუმინი. როგორც უკვე გვექონდა ნა-
თქვამი, ტოქსინი ბაქტერიის ტანში მზადდება და შემდეგ გა-
მოდის იმ სითხეში, ან იმ ალაგას, სადაც ბაქტერიები ცხოვ-
რობენ. რომ გაწურეთ ეს სითხე და ამით მოაცილოთ მას
ბაქტერიები, მიიღებთ ისეთ სითხეს, რომელშიაც მარტო ტო-
ქსინები იქნებიან; აქედან შეგვიძლიათ სხვა-და-სხვა ხშირათ და-
ლიან რთული საშუალებების შემწეობით გამოაცალკევოთ სხვა-
და-სხვა ტოქსინი და მათ შორის ტოქსალბუმინიც. თავდაპირ-
ველათ, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათ წლებში, გადამდები სნეუ-
ლების ერთათ-ერთ მიზეზათ ტოქსალბუმინი მიაჩნდათ. და მა-
რთლაც რომ შეასხათ რომელიმე ტოქსალბუმინი კარგამყოფ
ადამიანს სისხლში, თქვენ შეგიძლიათ, გამოიწვიოთ მასში ამა
თუ იმ გადამდები სნეულების სრული სურათი; თუ მზამი
ცოტა იყო, ავთამყოფი ისევ მალე მოჩიება; მაგრამ, თუ მზა-
მი ბევრი შეასხით, საიქიოსაც ვაისტუმრებთ. თუ ბუნებრივათ
გაჩენილი გადამდები სნეულება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე
თქვენ მიერ ნაძალადევათ გამოწვეული ტოქსალბუმინის შემ-
წეობით, ამის მიზეზი ცხადია: პირველ შემთხვევაში ბაქტერი-
ები ადამიანის ტანში ბუდობენ, განუწყვეტლივ ამზადებენ ტო-
ქსინს და განუწყვეტლათვე მზამვენ ორგანიზმს, სანამ ან ბა-
ქტერიები არ დაძლევენ, ან ორგანიზმი არ მოერევა ბაქტერი-
ებს. იმის დასამტკიცებლათ, მართლა მარტო ტოქსინები იწ-
ვევენ გადამდებ სნეულებებს თუ სხვა რამეც, მეცნიერებმა
შემდეგ ცდას მიმართეს: მათ მოაშორეს ბაქტერიებს ტოქსი-
ნები, დახოცეს ბაქტერიები, გაქნეს სითხეში, შეასხეს ცხოვე-
ლებს სისხლში და ზოგჯერ გამოიწვიეს ამა თუ იმ გადამდები
სნეულების მოვლენები. აქედან უფრო სარწმუნო დასკვნა ის

იყო, რომ ადამიანის აგებულებისათვის მარტო ტოქსინები კი არ არიან მავნებელი, არამედ ის პროტოპლაზმაც, რომლისაგანაც ბაქტერია შესდგება, ხოლო მეცნიერების უმეტესი წილი იმ აზრის არის, რომ ბაქტერიის პროტოპლაზმას იგივე თვისება აქვს, რაც ტოქსინს—პროტოპლაზმის, ე. ი. მას მხოლოდ დაჩირქება შეუძლია. ეს აზრი საუცხოვოთ დაამტკიცა გამოჩენილმა Koch'-მა, რომელმაც მეცნიერებას დაუფასებელი ღვაწლი მოუტანა, მაგრამ გადაჭარბებული ვერცხლის მოყვარეობით თავის ზნეობრივ მხარეს ცუდი სახელი მოუხვეჭა. მან დახოცა ქლექის ბაქტერიები და შეასხა კანში ზღვის ღორს; რამოდენიმე დღის შემდეგ დაზიანებული ალაგი ზღვის ღორს მხოლოდ დაუჩირქდა; თვითონ კი არ დაქლექებულა. ცოცხალი ბაქტერიები რომ შეასხათ ზღვის ღორს სისხლში, აუცილებლათ დაქლექდება და მოკვდება. აქედან ცხადია, რომ დაქლექებაში უმთავრესი მნიშვნელობა ტოქსალბუმინებსა აქვთ და არა ბაქტერიებს; ბაქტერიები მხოლოდ ამ ტოქსალბუმინებს ამზადებენ.

გარდა ტოქსალბუმინებისა ზოგიერთი მავნებელი ნივთიერება მზადდება თვით საზრდოდამაც ბაქტერიების ზეგავლენით. როგორც დამბალი პური, ქაქა და სხვ. იწყებს დუდილს მიკრობების ზეგავლენით და ჩნდება მასში ალკოჰოლი, აგრეთვე ბაქტერიების ზეგავლენით მათ საზრდოში ჩნდება სხვა-და-სხვა ნივთიერებანი, რომლებიც ადამიანის აგებულებისათვის მავნებელი არიან.

V.

როდესაც ბაქტერიები აღმოაჩინეს, ნეიდამმა, პუშემ და სხვებმა გამოაცხადეს: ბაქტერიები თავისთავათ იზადებიანო, მაგრამ პასტერმა მესამოცე წლებში ნათლათ დაამტკიცა ასეთი აზრის სრული სიყალბე და უნიადაგობა. დღეს ცნობილია და დამტკიცებული, რომ ბაქტერიები თავისთავათ არა ჩნდებიან, არამედ ყოველგან არიან გავრცელებული: მიწაზე, ჰაერში, წყალში. თუ რომელიმე მკვდარი ცხოველი ღპება და იხრწნება, იმიტომ კი არა, ვითომ მასში თავის თავათ ჩნდებოდნენ ბაქტერიები, არამედ იმიტომ, რომ მასში იზუდებენ ბაქტერიები, რომლებიც არიან ან ჰაერში, ან წყალში, ან მიწაში. როგორ გაჩნდა თედამირველათ ბაქტერია, ეს ისეთივე საიდუმლოება არის, როგორიც საზოგადოთ ცხოველებისა და მცენარეთა წარმოშობა ჩვენ დედამიწაზე. ზოგიერთი ბაქტერიები ქვეყნიერობის თავისუფალი მცხოვრებნი არიან; მათ ყოველგან შეუძლიათ ცხოვრება და გამრავლება, ოღონდ კი საკმარისი საზრდო, სათბო და სინოტივე ქონდეთ. ზოგი ბაქტერიები კი ნამდვილი მუქთახორები არიან: მათი ბინა მხოლოდ ცოცხალი ცხოველის ტანია, რომლის გარეშე არსად სიცოცხლე და გამრავლება არ შეუძლიათ. სხვა ბაქტერიებისათვის სულ ერთია: თუნდა ადამიანის ტანში უცხოვრიათ, თუნდა ჰაერში, ანუ მიწაში,—ყოველგან კარგათ ძლებენ. აქედან ცხადია, გადამდები სნეულების წყარო მრავალგვარია: ჰაერი, წყალი, მიწა, თვით სნეული ადამიანები და სხვა ცხოველები. ჯერ კიდევ პასტერმა დაიწყო იმის კვლევა, არიან თუ არა ბაქტერიები ჰაერშიო. მან მართლაც აღმოაჩინა ჰაერში მრავალი ბაქტერიები, რომელთა შორის ზოგი ადამიანისათვის უვნებელი იყო, ზოგი კი გადამდები სნეულების წარმოშობი. პასტერის შემდეგ მის მიერ დაწყებული შრომა ბევრმა მეცნიერმა განაგრძო და დღეს მთელი უშველებელი ლიტერატურა არსებობს ნიადაგის, ჰაერის და წყლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შესახებ. რასაკვირველია, სადაც ბევრი ავთომყოფია, იქ მიწაც მდიდარია ბაქტერიებით, ჰაერიც და წყალიც იმ ოთახების მტვერში, სადაც ქლექიანი იმყოფება, ყოველთვის არის ქლექის ბაცილები; იმ ალაგებში, სადაც ხოლერა და სახადი გაჩენილა, წყალში ყოველთვის უპოვნიათ ხოლმე

ხოლერისა და სახადის ბაცილები. ჰაერში ბევრგვარი ბაცილები უპოვნიათ, მაგრამ მათში ყველაზე უფრო საშიშარ ქლექის ბაცილები; ჯერ იმიტომ, რომ ქლექი ჩვენს ცხოველებს გავრცელებული სნეულებაა, ამიტომ ჰაერშიც ბევრია მისი ბაცილები და თითქმის ყოველ ჩვენგანს ჩაუსუნთქავს ისინი, ან ჩაისუნთქავს როდისმე; მეორე,—ქლექის ბაცილები ჰაერში დიდხანს ძლებენ და მაშასადამე ამ მხრივაც უფრო მეტის დასნეულება შეუძლიათ, ვიდრე სხვა ბაცილებს. ქლექის ბაცილებს ჰაერში მხოლოდ ქლექიანები ავრცელებენ. რადგანაც ქლექი ფილტვების სნეულებაა, ამიტომ ქლექიანის ფურთხში და ნახველში ქლექის ბაცილები ბევრია. ქლექიანი წარა-მარა მიწაზე ან იატაკზე აფურთხებს, ფურთხი მალე შრება, მტვრათ იქცევა და მასში მყოფი ბაცილები ჰაერს უერთდებიან. ამის ასაცილებლათ საჭიროა, რომ ქლექიან ავთომყოფს წყლით ან რაიმე სადეზინფექციო სითხით საესე უერქელი ქონდეს და მუდამ იმაში აფურთხებდეს; როცა ფურთხი მოგროვდება, ცეცხლში უნდა დაიწვას ხოლმე. მაშინ ბაცილები ჰაერში ვეღარ გადავლენ. რადგანაც ადამიანი ჰაერს ისუნთქავს ხოლმე, ჰაერი კი ფილტვებში ჩადის, ამიტომ ჰაერში მყოფი ბაცილები უმთავრესათ ფილტვებს ასნეულებენ. რადგანაც ჰაერში ხშირათ უნახავთ ქლექის ბაცილები, ამიტომ წამხდარ ჰაერს უსათუოთ შეუძლია ადამიანს ქლექი გაუჩინოს.

წყალში მყოფი ბაცილებით თავდაპირველათ კუჭი და ნაწლავები სნეულდებიან; ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც წყალს ჩვენ სასმელათა ვხმარობთ და მაშასადამე მისი ბაცილებიც უმალ ჩვენ კუჭსა და ნაწლავებს ესტუმრებიან. ნაწლავების გადამდებ სნეულებას ეკუთვნიან: ხოლერა, მუცელი და სახადი (тиф и брюшной). ამ სნეულებათა გაჩენას და გავრცელებაში წყალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. წყალში ამ ბაცილებს ისევე ადამიანის გაუფრთხილებლობა აჩენს. თუ ადამიანის განაჯალს ისეთ ალაგას აქვევენ, რომელსაც ან ქა, ან მდინარე წყალი ეახლოვება, განაჯალის სითხე უსათუოთ გაეყანავს ქაში და მდინარეში და თან გაიტანს ბაცილებსაც. ამგვარათ სუფთა წყალი მოიწამლება და დაასნეულებს მათ, ვინც იმ წყალს ხმარობს. ამიტომ საჭიროა, რომ ფხის ალაგები და სასმელი წყალი ერთმანეთს დაშორებული იყონ და, თუ მუცელიანი და სახადიანი ავთომყოფის განაჯალს დაწვავენ, ან ორმოში გადააქცევენ და კირს დააყრიან ხოლმე, ეს ხომ უმჯობესი იქნება. ჩვენში თუ მუცელი ან სახადი გაჩნდა ისეთ სოფელში, სადაც მდინარე წყალი ჩამოდის, ერთი კვირის განმავლობაში იგივე სნეულება თითქმის ყველა შემდეგ სოფლებს მოედება ხოლმე, რომლებსაც ის მდინარე ჩაუდის. ამის მიზეზი აშკარაა: ხალხმა არ იცის, რომ მუცელიანი და სახადიანი ავთომყოფის განაჯალი გადამდებია, ამიტომ მდინარეში ღვრის მას და გასვრილ სარეცხსაც მდინარეზე რეცხავს; ამით წამლავს მდინარე წყალს და აჩენს სნეულებას ყველა შემდეგ სოფლებში, რომლებიც ამ მდინარის წყალს ხმარობენ; ადამიანის იღბალი კიდევ ის არის, რომ წყალში ბაცილები დიდხანს ვერა ცოცხლობენ: არსებობისათვის ბოძოლა ბაქტერიებშიაც არსებობს; ის ბაქტერიები, რომლებიც წყლის მკვიდრ მცხოვრებს შეადგენენ, შეუბრალებლათ ანადგურებენ იმ ბაქტერიებს, რომლებიც შემთხვევით ესტუმრებიან ხოლმე მათ; უკანასკნელთა რიცხვში კი უმთავრესათ გადამდებ სნეულებათა ბაქტერიები არიან. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გარდა გადამდებ სნეულებას აჩენენ ტანისამოსი და ყველა ის ნივთები, რომლებსაც ავთომყოფი ხმარობს. დამტკიცებულია, რომ სადალაქოები ხშირათ ავრცელებენ გადამდებ სნეულებათ, რადგანაც ავთომყოფსა და კარგა მყოფს ერთი და იმავე სამართებლით პარსავენ პირს და სამართებელს კარგათ არა წმენდენ. კაზარმებში ერთი სნეული ხშირათ სხვებსაც ასნეულებს,

რადგანაც ხშირათ რამდენიმე კაცი ერთი ჯამიდან ჭამს და ერთი მეორის კოვზს ხმარობს. ამიტომ საჭიროა, რომ გადამდებ სნეულებით ავთმყოფს ყოველისფერი: ტანისამოსი, ჭიქა, საინი, კოვზი, დანაჩანგალი და სხვა თავისა საკუთარი ქონდეს და მის მეტი მათ სხვა არავინ ხმარობდეს, სანამ ავთმყოფი არ მორჩება და ყველა ამ ნივთებს არ დაასუფთავებენ ან წყალში დუღილით, ან რიგიანი დეზინფექციის შემწეობით. გარდა ყოველივე ამისა დღემდე თეორიულათ მიღებული იყო, რომ გადამდები სნეულების გავრცელება ბუზებს, კოლოებს და ბალღინჯოს შეუძლიათ. დღეს კი პრაქტიკულათ მტკიცდება, რომ ეს მწერები გარდა იმისა, რომ ადამიანის სისხლით იკვებებიან, საშინელ უმადურობასაც იჩენენ: გადამდებ სნეულებას ავრცელებენ. ბუზი აჯდება განავალს, წოვს სისხლს ადამიანს, ასევე ირჯება კოლოც. ამიტომ ამ მწერების ნაწლევებში ხშირათ ჩნდება სხვა და სხვა გადამდებ სნეულებათა ბაქტერიები. როდესაც ისინი საჭმელს დააჯლებიან, განავალს აყოლებენ ამ ბაქტერიებსაც და ამით კარგა მყოფ ადამიანს ასნეულებენ; ან როდესაც თავისი გასვრილი ხორთუმით საღ ადამიანს კბენენ ხოლმე, მის სისხლში სულ ხშირათ შეყავთ სხვა და სხვა გადამდები სენის ბაქტერიები. ამ ბოლო დროს დაკვირვებამ ბევრი მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბალღინჯოები უსათუოთ ავრცელებენ სახადს და საოფლეს. ნიადაგის ბაქტერიების შესახებ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ: ნიადაგში იმგვარათვე ჩნდება ბაქტერიები, როგორც წყალში და ჰაერში; ავთმყოფის ფურთხი, განავალი, ტანისამოსი და სხვა იმდენათვე ავრცელებენ მიწაში ბაქტერიებს, რადენათაც წყალში. ხშირათ სნეული ცხოველები იხოცებიან, მიწის ზედაპირზე იხრწებიან, ლბებიან და ამით მათი სენის ბაცილები ნიადაგში მრავლდებიან.

როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ბაქტერიების საფლობელოს ადამიანიც კი შეადგენს. გარდა იმ მოზრდილ პარაზიტებისა, რომლებიც უმიკროსკოპოთაც კარგათ გვაცნობენ თავის თავს, და რომლებსაც არხინათ დაუნაწილებიათ ერთმანეთში ადამიანის ტანის სხვა და სხვა ადგილი, მარტო ჩვენ პირში ოცდაათამდე სხვა და სხვა მოდემის ბაქტერიები არიან! აი რამოდენა ქვეყნიერებას წარმოადგენს ბაქტერიებისათვის ჩვენი პირი! ერთი ამდენი, თუ მეტი არა, ჩვენს ნაწლევებში და სასუნთქ მილებში ეძლევიან უდარდელ ცხოვრებას! ყველა ამათ ფიზიოლოგიურ ბაქტერიებს უწოდებენ მეცნიერები, რადგანაც ზარალი ჩვენთვის არაფერი მოაქვთ, პასტერის აზრით კი სასარგებლონიც არიან ჩვენი ჯანმრთელობისათვის. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მეცნიერები ამტკიცებდენ: გარდა ფიზიოლოგიური ბაქტერიებისა საღი ადამიანის ტანში გადამდები სნეულების ბაქტერიები არ მოიპოვებიანო, მაგრამ გამოკვლევა ახლა ამტკიცებს, რომ ადამიანის ტანში ხშირათ არიან ამა თუ იმ სნეულების ბაქტერიები, მაგრამ რაიმე მიზეზისა გამო სნეულებას ვერ არჩევენ. Netter-მა გამოიკვლია 127 კარგა მყოფი ადამიანის ფურთხი და თითქმის სუყველას უპოვა ჩირქის გამომწვევი ბაქტერია — *saphylococcus pyoglnes*, 30-ს ფილტვების ანთების გამომწვევი ბაქტერია — *Fränkel-Weichselbaum*-ის პნემო-ბაქტერია, და სხვა. თუ ყველა ეს ბაქტერიები ვერ აჩენენ სნეულებას, ამის მიზეზი ის არის, რომ პირის ლორწოიანი კანი მტკიცე კედელს წარმოადგენს, რომლის იქით გატანაც ბაქტერიებს არ ძალუთ; ეს ბაქტერიები პირში ვერ მრავლდებიან იმდენათ, რომ შესამჩნევი ზიანი მოუტანონ ადამიანს; გარდა ყოველივე ამისა პირში ძალიან ბევრია ფიზიოლოგიური ბაქტერიები, რომლებიც მათ ებრძვიან და მათი მცირე რიცხვისა გამო ამარცხებენ. თუ რაიმე მიზეზისა გამო პირის ლორწოიანი კანი დასუსტდა, ან რომელიმე ალერგიული სახიანდა, მაშინ ბაქტერიები ამ ალერგის ძლიერ მრავლდებიან და სნე-

ულებასაც აჩენენ. მაგ., სურდო ძალიან ხშირი სტუპორია ყოველი ჩვენგანის. ამის მიზეზი ის ბაქტერიები არიან, რომლებიც მუდამ ცხოვრობენ ჩვენს ცხვირში. ცხვირის ლორწოიანი კანის უჯრედები ებრძვიან ამ ბაქტერიებს და უმადურობენ ბაქტერიები ისე ჯანიანი ვერ არიან და ველარც იმდენათ მრავლდებიან, რომ განუშორებელი სურდოთი გვიმასპინძლონ. მაგრამ რადგანაც ცხვირის ლორწოიანი კანი ხშირათ სუსტდება, უმთავრესათ ცივი ჰაერის წყალობით, ამისთანა შემთხვევებში ბაქტერიები იმარჯვებენ ხოლმე და იმდენათ მრავლდებიან, რომ ადამიანს რამდენიმე დღის უსიამოვნებას აყენებენ, გარდა იმისა რომ მეტ ფულსაც ახარჯინებენ სარეცხში, ვისაც, რასაკვირველია, ხელით ცხვირის ხოცვა არა ჩვევია.

ი. გ — ლი.

(შემდეგი იქნება)

შვიდობის გასწორება.

- კვალის № 26-ში მოთავსებულ „ბიბლიოგრაფია-ში 426 გვერდზე: ზქ. 17 ზევიდან დაბეჭდილია: შეერთება უნდა იყოს: შეეხება.
- 426 გვერდზე: ზქ. 37 ზევიდან დაბეჭდილია: გამოიყვანს უნდა იყოს: იყოს.
- 426 გვერდზე: ზქ. 49 ზევიდან დაბეჭდილია: განვითარების უნდა იყოს: განათლების.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

სასწავლებელი და პანსიონი.

ა. მამულაიშვილისა.

ვერა, სლებცოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთექის მახლობლათ.

ამხადებს ბავშვებს საშვალო სასწავლებლებსათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.). იქვე ამხადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (переэкзаменовки)

თფილისის კერძო სამკურნალო

გელაქანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი სავინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავთმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ღ ი თ:

- გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- ბ. ბ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
- ი. ზ. ასლშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- კ. მ. კლიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- გ. მ. მანსუეტაფი — შინაგანი და ნერვების, და ბავშვების სამშაბ. და პარასკ.—1—2.
- ა. გ. ბარსუკაფი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- გ. გრ. სობოლევსკაი — ქირურგ. და ორტოპედული, ორშ-ოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.
- ბ. მ. აზნადაშვილი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი. 1—2.

ს ა დ ა მ ი თ ი :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- მ. გ. იანჩევსკაი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.
- ა. გ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოველევა 5—6.

კ ვ ი რ ა ბ ი თ :

- გ. მ. მანსუეტაფი — შინ., ნერვ. და ბავშვ. 9—10.
 - ბ. ბ. მაღალაშვილი — შინაგან ავთმყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. მიხეილ გელაქანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათისა.